

# შერეკილები (მოთხოვა)

## თავი პირველი

...ვინაიდგან.....ისე, ტყვილა.....

ერთაოზის დედა, ნატალია, მუცელს გადაჰყოლია. ნადეჯნას დიდხანს არ უვლია შვილის საფლავზე, ძმრით თავი მოუწამლავს, დღითიდღე გული უკოდია, სანამ ძარღვი არ გაუწყვეტია.

მიზანა, ერთაოზის მამა, საშობაოდ აყრილა და გოგნიდან დედულეთში გადმოხიზნულ ა. ჩასიძებაში, მოყვრების გაცნობა-გამოცნობაში კბილებდაკლებული (კბილი ერთი და არჩენოდა, წინა, ღვინისთვის), განცდილ-ნაგრძნობით ჩაფიქრებული და შეწუხებული. ამ გადმობარგებას ავი ზამთარი დამთხვეულა, ოკრიბაში რომ იცის - ადრიანი, თოვლიანი, დამჭვევი და ამომგდები. ერთაოზი სამი თვისა ყოფილა და გზაში რომ ურემს არ გამოელაყებინა, მიზანას ტყლაპის ყავარზე დაუკრავს.

ძუყნური, მიზანას დედულეთი, ზეციერს ცოტა მაღლა აუტანია. მიწა ღორღიანია, თესლს კი ჩაიტევს სადმე ქვებში, მაგრამ მერე უზრდელობას დამართებს, კოჭს არ ააცილებს.

თუ რაიმე ერგო დედულეთში, მიზანამ მალე მიჭამ-მოჭამა და მოისვენა. ერთი კალთა ვენახი შერჩა და ქვაშეყრილი ყანა - სამთა ზიარი. უპატიო და უნაკელო მიწა უარმა და ზიარმა გაიტყუა, ვენახს მიკითხვით კი მიაკითხა მიზანამ, კიდევაც უაქიმა, ნასამხრალს გაანდო თავის თავს - მოდი, ამ ენაჭრიას გავეპარებიო. ასეც მოიქცა. შემო დგომაზე დაუბრუნდა, უყურა, უყურა, თქვა: ვაი, ჩემო ვენახო, მე ქე გავეპარე, მარა უენ უფრო გამპარვიხარო...

დაბადების წელი მიზანას არც თავისი ახსოვდა და არც შვილის აინტერესებდა მაინცდამაინც.

ერთი გვიანი შემოდგომის დღე იდგა, ხათრიანი, ჩუმი, ბევრჯერ გარეცხილ მიტკალს ჰვავდა. კურკანტელის ტოტს ნიავმა მესკიელა მოწყვიტა და ჩალის კარავში ფოთოლივით თშეათრინა. ჩალის ღეროდან თაგვმა თავი გამოყო, ამინდს ყური უგდო, წვიმა მოესმა და ისევ ბინაში ყოფნა არჩია. მალე წამოწვიმა კიდეც, გამოზოგილად, ერთნაირად. ქვა და ფოთოლი სისველემ ააპრიალა.

დაბლარ ვენახს სარები გამოსცლოდა, კატაბარდა ჩასახლებოდა. სწავლას და მოვლას აცდენილი ვაზი მიწაზე გაწოლილიყო. მიზანა მსხლის ძირში ჩამოჭდა. ხეზე ზევიდან ქვევით და პირიქით ჭიანჭველების რიგი მოძრაობდა. „რა ღროს მუშაობაა ამ წვიმაში“, - გული მოუვიდა მიზანას და თითით გზა გადაუჭრა მშრომელებს. ჭიანჭველებმა თათბირი გამართეს, ერთი შეასახელეს, გადარიეს და თავზეხელალებულმა მიზანას თითს შეუტია.

-ვინ დაგიფასებს საქართველოში, ჩემი არ იყოს, ვაუკაცობას? - უთხრა მიზანამ და თავდადებული ჭიანჭველა უგზო-უკვლოდ გადაკარგა წკიპურტით.

ბუჩქებიდან ერთაოზი გამოლაგდა, ძაფ-ძაფად სველი, გამხდარ-გამხდარი, ქათამ ივით თვალებგაჩერებული.

-რა ქენი, ბიჭო? -გამოცოცხლდა მიზანა.

ერთაოზი ხეს მიეყუდა, ცარიელმა კუჭმა ყურყურს უმატა.

-ხალხი, ბიჭო, გოდოგნიდან მოსულარიენ ჩემთან ჭკუის საკითხავად, ეჭვი წლი ს ვყოფილვარ, ბუხარში შემიყვია თავი და მითქვამს მამაჩემისთვის, ბაბუაშენისათვის.. რომელზე გეუბნები, თუ იცი? -შეატყო შვილს უყურადღებობა მიზანამ.

-ერემოზე, -მორჩილად უპასუხა ერთაოზმა და ხელი მუცელზე დაიდო.

მიზანას სიტყვები კარგა ხანია დაბლაგულად ხვდებოდა ერთაოზს, აზრი დაჰკარ გოდათ, გამოფშუტულიყვნენ შარშანდელი ნაქურჩალასავით, ხშირი ხმარებისაგან, ა ლბათ. შეჩვეოდა ყური, როგორც ღელის ლიკლიკს ან ურმის ჭრიალს. რაც შეეხება ე ჩემოს, მიზანას გადმოცემით, საქრისტიანოს დასაცავად დროშაზე წასული, ხონთქარ ს კაკას ხიდზე კვერცხივით შესკდომია, უბედურ დღეზე გაჩენილი. არადა, სინამდვილე ში (ლამისთევაზე გაეგო ერთაოზს), ერემო ქუთაისის ქვეყანაში გირით მოუკლავთ ბაზ არში.

-საჭმელი გვაქვს, შვილო, რამე? - იკითხა მიზანამ.

-პრასი.

-გვქონია, - მიზანამ ხელი ხელს გაუსვა, -წახვალ ახლა სირბილაძეებში, ეტყვი: ბ რეგვაძეებს ქეიფი გვაქვს-თქვა, მამაჩემი უშენოდ არ ჯდება-თქვა. წამეიღოს ღვინო და მევიდეს...

-ორი ჩაფი ერგება, -გაიხსენა ერთაოზმა.

მიზანა შეჭირვდა, უცებ თვალებში ეშმაკები აუთამაშდა:

-წამეიღოს ერთიც და გაუსამდება.

ერთაოზმა მეტის თქმა აღარ აცალა, ადგილს მოსწყდა და სოფლისკენ დაეშვა.

-საჭმელი წამეიღოს საჭმელად, ჭადიც წამეიძღვანიოს, -დააწია მიზანამ შვილს.

ერთაოზი მიწას ფეხს არ აკარებდა, მიქროდა სირბილაძეებისაკენ.

-ყველიც წამეიძღვანიოს! ვარიაც წამეიძღვანიოს! სამარხვო არ გვინდა, სახსნილ ო წამეიძღვანიოს. ნიორ-წყალიც წამეიძღვანიოს! პრასი გვაქ-თქვა, არ გვინდა.

სუფთა ჰაერზე ყვირილმა მიზანა აღაგზნო და ჭკვიანურის თქმა მოუნდა, განზო გადოებულის, გადაუდებლივ. თქვა:

-ადამიანის ტანში სულგრძელობას ყველაფერი უნდება! ქათამი, ხაჭაპური, ინდ აური, ბოდიში და ღორის მწვადიც.

ამასობაში წვიმაც შეწყდა, ქვენამ ჭოგ-ჭოგად დაშალა ღრუბელი, შემდეგ დაუარ ა ყველას და ზევით წაიღო. ცამ გამოიხედა, ლილა ცამ, წკრიალამ. მესკიელა კარვიდა ნ გამოფრინდა, კურკანტელას დაუბრუნდა და ტოტზე განდაგან სიარული იწყო. თაგ ვმა საფარი დატოვა, სირბილში კოჭლი გამოდგა.

მიზანა სამზადისს შეუდგა. სუფრის მოსატანად სახლში შევიდა. გვერდზე გადახ რილ ამ ფიცრულს მიზანა სახლს იმიტომ უწოდებდა, რომ თავმოყვარე კაცისთვის უხ ერხული სათქმელი იყო, ბოსელში, ნალიაში ან საქათმეში ვცხოვრობო. ხავსმორეულ

ყავარზე დარაჯებად ქვები ისხდნენ, ქარს რომ სახლი არ ეზარალებინა და ის ნალახ-ნ აწეში ნარჩენებიც თან არ გაეყოლებინა. კედლებში შემოვარდნილი ქარი საბანს წაგ ლეჭდა მამა-შვილი, ერთაოზი და მიზანა მალხაზები რომ არ ყოფილიყვნენ. სარკმელზ ე გაქონილი ტყავი გაეკრათ. იატაკი სიფრთხილეს და დაკვირვებას მოითხოვდა, კიბის საფეხურები კი, რიცხვით სამი - მოქნილობას და თავგამეტებას.

მიზანამ ბალახზე სუფრა დააფინა და სოფელს ჩახედა. ბილიკზე ერთაოზი და ს ირბილაძე გამოჩდნენ. ერთაოზს ბეჭზე კალათი გაედო და ლაღად მოიწევდა ზევით, ქონმოწოლილ სირბილაძეს კი აღმართში უჭირდა.

-რა დროს ქეითვია, - წუხდა სირბილაძე, - სიმინდი გასაგრილებელი მაქვს, ღვინ თ გადასატანი, ხვალ ბაზრობაზე სახლიკაცი უნდა გავაგზავნო, კეცებია გასაყიდი... სულ რო მე მპატიუებთ, ვარ ამდენი პატივისცემის ღირსი?

-თუ მასეა, დაბრუნდი, იმუშავე, -უნდოდა გამოერთმია ტიკი ერთაოზს, მაგრამ სირბილაძემ არ დაანება.

-ეწყინება იმ სულძალლს! -თქვა სირბილაძემ და გზა განაგრძო.

მიზანას ეს გადალაპარაკება, რა თქმა უნდა, არ ესმოდა, მაგრამ შინაარსს დაახლოებით ზუსტად ხვდებოდა, ამიტომ ამოსვლისთანავე შეუტია სირბილაძეს:

-რავა! არ კადრულობთ სირბილაძეები ბრეგვაძეებში ქეითს, თუ რავაა თქვენი საქმე? კაცი თვარ გამოგიგზავნე, შენით ვერ უნდა მიხვდე სტუმრობას?

-ახლა ვაპირებდი სწორედ ამოსვლას...

მიზანას შეტევა უყვარდა, კაცის გაფუჭება მისთვის იოლი და სახალისო საქმე იყო, თუმცა დროზე გაცლაც იცოდა და ადუღებულის დაღუღებაც ლამაზად ეხერხებოდა. სულ მალე დაზავდნენ. ერთმანეთი მოიკითხეს, მაცდური სიტყვები ბუმბულად და უგეს, ნაფოთლარი ჭადები გატეხეს, სადღეგრძელო თქვეს-ერთი, ვორი, სამი, ვოთხი და ხუთი. მერე სიმღერა მიართვეს ტურთა ოკრიბის ქვეყანას. იწივლა მიზანამ, ხმა ზეცას ებდოვნა, ეჩხუბა, შემდეგ მოეფერა, თავქვე დაეშვა. და ის იყო, სუფრას უნდა დაბრუნებოდა, ისევ აფრინდა ზევით და იწყო ცაში ბრდლვნა და გლეჭა.

გაძლარი ერთაოზი მეორეთი მისდევდა მამას. რაც შეეხება სირბილაძეს, სხვის ქეითში საკუთარი ღვინის სმა გუნებას უფუჭებდა და ამიტომ მისი უკან დახეული ხმა მაინცდამაინც ვერ ამშვენებდა გარემოს და არემარეს. დროდადრო სიმღერაში ცარიელ ადგილს ნახავდა და გვერდულად წამოიყვირებდა დაუამული:

-რა ჯობია ბრეგვაძეებში ქეითს!

მერე ისევ გაყუჩდებოდა გამოლაყებული, საკუთარ თავთან სტუმრად წვეული, და დადარდიანებული საკუთარ სასმელ-საჭმელს ახორშავებდა, სანამ მიზანა ხმას არ მოსთხოვდა მუჭლუგუნით.

„არც ხმალი მაქვს, არც ხანჯალი!“

მაღლა-მაღლა მიიწევდა მიზანას ხმა და როდესაც წარმოუდგენელს გასცდა, ადგილზე გაიყინა და გაწყდა ძაფივით. ზევით სათამაშოდ ნასროლი ხელი მუხლებზე ჩამოვარდა და ხეს რომ არ შეეკავებინა, მიწაზე გაგორდებოდა. ზაფრანის ფერი გახდა. პირი ღია ჰქონდა სასიმღეროდ, კბილები-თეთრი და ბევრი.

-რა მოგივიდა, კაცო? - სიმღერით ჰქითხა ერთაოზმა.

მიზანამ არ უპასუხა. შუშადქცეული თვალებით სულიწმინდის ეკლესიას მიშტე რებოდა.

სირბილაძემ ჭიქა სუფრაზე დადო და ყური დააფინა გულზე მიზანას.

-ჩაბარდა პატრონს, - ჩუმად თქვა სირბილაძემ.

-ჩაბარდა? - ვერ გაერკვა ერთაოზი.

-გევიდა გაღმა, - განმარტა სირბილაძემ.

-გაღმა?

-მარილზე. - ჩაყვინთა უძირო ქართულში სირბილაძემ.

-მარილზე?

-მოკვდა, შე უპატრონო, მოკვდა! წევიდა და წეილო ჩემი სამი კოკა ღვინო მიქე ლ-გაბრიელთან.

-მიზანა, ბიჭო! - იკივლა ერთაოზმა და მამას მკერდზე დაემხო, -რათრა დამეხარ ჭე, რათრა დამივარდი გზაში, ჩემო მედროშე! რო ვეღარ ჭამ აწი?! რო ვეღარ დალევ! რა უდროვოდ გამიცივდი!

ასე სიმღერაში მიიცვალა მიზანა ბრეგვაძე ერთ გაღლეტილ შემოდგომას. აუშვა ცაში ხმა და ვეღარ დაიბრუნა, ამოისუნთქა და ვეღარ ჩაისუნთქა. ისესხა სამი კოკა ღვინო და ვეღარ ჩაასესხა. ამოილლიავა ყავარი და სასულეთში გადაინაცვლა მამაზეც იერთან, ვარდის ყანაში, ბუმბულის ბალიშზე, მურაბის ტაშტების სალოკავად.

სამი დღე თვალი არ დაუხუჭავს ერთაოზს, პირი არ გაულია, ლუკმა არ გადაუყ ლაპავს. სულ მთლად დაილია ისედაც ფერდებშემხმარი. ბოლოს, როგორც იქნა, გარე თ გამოიყვანეს და ლელვის ხის ქვეშ დააყენეს. მიზანა მთლიანი ყავრით გაზომეს, „სას ახლეში“ ჩაასვენეს, სარტყელში ხაჭაპური ამოუდეს სამგზავროდ, ვენახს სამჯერ შემო ატარეს-ამაგი გააღებინეს, წაიყვანეს და შუაგულ ეკლესიაში დაასვენეს, წირვა მოასმე ნინეს, ტირილი გაუმართეს და მიწას მიაბარეს.

-კაცის სული პეპელას მიაქვსო...-ითქვა უკანობისას.

...სევდიან ფიქრებში წასული, უკვე მერამდენე დღეა იჯდა ერთაოზი კერიასთან. საშავეში გავლებულ ტანისამოსში სულ პატარა ჩანდა. უცებ ხმაური შემოესმა, ჭიშკ არი მიწაზე დაეცა და ეზოში მეზობლები შემოლაგდნენ. წინ სირბილაძე მოუძლოდათ. არისტოს დათიკია მღვდლისთვის გამოედო ხელი იღლიაში და ძალით მოჰყავდა სახ ლისაკენ. დათიკია მღვდელი საამქევეყნოს აღარ ჰგავდა. სიბერისგან დაცოტავებულიყ ო, ფოთოლივით კრთოდა, ნაჩუქარ წლებს ხარჯავდა მოწიწებით და ღმერთს მადლობ ას სწირავდა ყოველ გამთენისას. წებოს სვამს ღამ-ღამობითო, ხმა დადიოდა მრევლშ ი, სული რომ ჩაიმაგროს სტომაქში და არ გაეპაროს, იმიტომო...

ეზო თანდათან გაივსო ხალხით.

-შეხედე, ხუცესო! - ერთაოზისკენ ანიშნა არისტომ თვალებით, -რამსიგრძე ფეხ ები აქვს, დაადებს თავს და სდიე მერე!

-თუ გიყვარდე, არისტო, ცუდ რამეს ნუ მეტყვი, გული მაქვს სუსტი, - წუხდა დ ათიკია მღვდელი.

-კი, ხუცესო, კი! მაგან მამამისთან ერთად ჩვენი ვალებიც გარია მიწაში,-გულმო სული თათარივით ხმას უმატებდა საფეხურებად არისტო.

ერთაოზმა კიბე გამოტოვა, მიწაზე ჩამოხტა და მღვდელთან მიიჭრა:

-მამაო, რა გვიჭირს ბრეგვაძეებს იმისთანა უსაშველო, რომ სირბილაძეებს არ ჩაუვარდეთ ყბაში?

-გავსწორდეთ ალაგობრივ!

-ალაგობრივ!-იყვირა არისტომაც.

ხალხი აღელდა, წინ დაიძრა.

-არისტო, შვილო,-დაიბნა მღვდელი,-ზრდილობის საქმეა...

-ზრდილობამ ამოგვწყვიტა იმერლები, თვარა თათარზე მეტი ვყოფილვართ ჩვენ !

მღვდელმა ამოიოხრა,-წაწყდებით ამ ობლის ცოდვითო, -უთხრა მრევლს და სან ამ კითხვას შეუდგებოდა, ერთაოზს მიმართა ალერსიანად:

-სულიწმინდის ეკლესიისა-ოთხსვეტოვნის- ორი სანთელი რომ გმართებთ, გვიპა ტიებია და ჩვენით კიდო სამ შამახურ სანთელს დოუნთებთ მიზანას საქრისტეშობოდ, -შემდეგ დამდნარი თითებით დავთარი გაშალა, თაგვი გადმოფერთხა შიგნიდან და კი თხვას შეუდგა:

-ფარდა პირველი, რვეული ო. მეთოფე მიზანა ბრეგვაძე, საქართველოს დაარსებ იდან 3999 წელსა, საქართველოს გაქრისტიანების 1575 წელსა, საქართველოს უკანას კნელი მეფიდან 69წელსა ესესხა გაღმელ დორეთია ვაჩიბერიძეს ერთ კვახ ლომს, ნახევ არ ქათამს, ზემორე ქათმის სამ კვერცხსა და ორ ლიტრა საპონს.-ერთი მოთქმით ჩაათ ავა დათიკია მღვდელმა და პირით ჰაერის ძებნა დაიწყო.

ყველამ ერთაოზს შეხედა, აბა, რას მოითიქრებს ეს უპატრონოო.

ერთაოზმა კიბეს დაჰკრა ფეხი და ოთახში შეფრინდა.

მიზანა ბრეგვაძის ოთახი ძალზე ღარიბულად იყო მორთული და შეესაბამებოდა სახლის გარე ხედს: ხის ჭიქა, გაბზარული თუჭის ქვაბი, გრძელცხვირიანი უპატრუქო ჭრაქი, ტახტი, სუთი, საბანი, ხამის ლეიბი, ყანწი, გობი და ამდაგვარი უმნიშვნელო და ფასდაუდებელი ნივთები. სახლში სიცარიელის და ცურცლის სუნი იდგა. ღოქის ყე ლში ობობას ქსელზე ბუზი იწვა ზორგზე სამუდამოდ. ერთაოზმა სტაცა ხელი ჭიებით გასულ-გამოსულ სკივრს, ფანჯარასთან მიიტანა და დორეთია ვაჩიბერიძეს გადაუგდო. სკივრი მიწაზე დაეცა და იქვე დაიშალა ახალმფლობელის ფეხთით. დორეთიამ აკრ იფა სკივრი, გულში ჩაიხუტა და ეზოს გასცილდა.

-მერე!-უკარნახა რომელიღაცამ ხუცესს.

ისევ გაისმა დათიკია მღვდელის ხმა:

-შუბოსან მიზანა ბრეგვაძეს მართებს ტერენტია სოფრომაძის გიორგობულა გოჭი, წველა ყველი, ღვინო აბაზნახევრის, ჩარექი ბამბა სანთლის გულად გასატარებელი და სამი ლიტრა საპონი.

სკივრს ძირგავარდნილი ქვაბი მოჰყვა. ერთაოზი მხიარულად ისტუმრებდა ვალე ბს. „მხიარულად“ ეგებ გადაჭარბებული ნათქვამია, მაგრამ უდავო იყო, რომ მაინცდამ

აინც არ განიცდიდა ამ დაქცევას. აფუსფუსდა ხალხი, ყველა მიიწევდა სახლისაკენ, ეპითხებოდნენ მღვდელს, ხომ არ გამოჩნდა ჩემი ფამილიაო, ან თაგვს ან მისგვარს ხომ არ მოუსპია დავთარში რომელიმე ფარდაო...

ქვაბს მოჰყვა გახუნებული და გაცრეცილი ნოხი, ნოხს-ტახტი, ტახტს-მუთაქად ნახმარი ძონძები, ძონძებს-აკვანი შიბაქიანად და არტახებიანად, აკვანს-ჯდომისაგან გაპრიალებული ჭირკი... ოთახში აღარაფერი დარჩა და ერთაოზი სახლის დაშლას შეუდგა. - „საქარიო კედელი - შენ“, -იძლეოდა განკარგულებას ერთაოზი და სახლი მარილივით დნებოდა. ვინ ფანჯრის რაფა დაინარჩუნა, ვინ - წინა-კარი, ვინ - განი-კარი, ვინ - სამეზობლო, ვინ - საქუთაისო ჭიშკარი, კაცია ვირსალაძეს კი ნაცვლად „ორი ჩარექა სანთლისა“, „ორი კოკა ღვინისა მისის ღომითა და ხორცითა და სამარხოსა მისის ყოვლისა ფერისა“, ერგო ქვამარილი და ისე ქვა, რომელიც ჩამოსაჯდომი.

სახლს ღობე მიჰყვა, ვიღაც ბუხარს შლიდა სათითაოდ.

-...გვმართებს ელვასი გოგოლაშვილისა და მისი სახლიკაცების შუბლისან მიზანა ბრეგვაძისაგან ერთი დღის ხაყენება, ორი ლიტრა საპონი. აღდგომის შაურნახ ევარი და შობის შაური...-კითხულობდა და კითხულობდა დათიკია მღვდელი.

ცარიელ კარ-მიდამოში დარჩა ნალია, რომელიც, ღმერთმა უწყის, როგორ იმაგრებდა თავს გამომპალ ბოძებზე და ოთხი მევალე. სიბნელე ჩამოწოლილიყო, მღვდელი ძლივს არჩევდა დავთარში დიდი ხნის წინათ დათესილ ფერდაკარგულ ასოებს. ერთ აოზი ჭრაქით დასდგომოდა თავზე. ქრიშობელა რობაქიძე, ძლოკვივით გამხდარი, ცალქალამნიანი, ახალი ღვინით გაბერილი, ჩასესხებას გადარჩენილი ღობის სარზე იყო მიუდებული და მაჭარივით გაუგებარს ბუტბუტებდა შიგნი. მევალეები უყურებდნენ ერთაოზს. ერთს კუბო ერგებოდა, მიზანას უკანასკნელი ვალი, მეორეს-ღორის თავი, მესამეს-დოლი.

-უნდა მენდოთ, გაგისტუმრებთ უეჭველად,-თქვა ერთაოზმა და გულზე ხელი დაიღო.

მევალეები მოშორდნენ ნასახლარს...

-ვის რა ერგება კიდო, მამაო?-ჰკითხა ერთაოზმა მღვდელს.

მღვდელმა მთვრალს გადახედა და დავთარში ცხვირი ჩაწვეტა.

-თავის გატეხისათვის ქრიშობელა რობაქიძეს მეკარვე მიზანა ბრეგვაძისაგან ერგება სამი სიმღერა: „ჩიტო-გვრიტო, მარგალიტო“, „ბროლის ყელსა მოგეხვიე“, „ალიფაშამ გვილალატა“ და ერთი ლიტრა საპონი.

გვარის ხსენებაზე რობაქიძემ გამოიღვიძა, სარს მოსწყდა, ანაყარს თვალი გადაავლო, ერთაოზი დაინახა და თვალი ჩაუკრა.

-გიღერო?-ჰკითხა ერთაოზმა ქრიშობელას.

-საპნიანად მიპატიებია...-დათმო ვალი ქრიშობელამ, მიდი-მოდი მაჭარმა ადგილს მოსწყვიტა და ქვევით ისროლა სოფლისკენ, საქმის გასარკვევად, ბოლოს და ბოლოს!

-სულ ცარიელზე ხვარ დარჩები, რამეთი ხო უნდა ეიდგა ფეხი, შე უპატრონო!-მოისმა ქრიშობელას ხმა და გაშლილი ბუჩქი მის უკან ისევ შეიკრა.

გვარიანად დაღამებულიყო. სატურიას ტყიდან მთვარე გამოგორდა და სოფელს დაუახლოვდა. ქვევით ვერცხლის ძაფად აპრიალდა კრუხისლელე, ანწლის მელნით და იხატა ცრემლისხიდი, გამოჩნდა ამბაკოს სატეხი, თათრის შარა, მხეიძის საკურდლლე, ანაპოდისტეს თავპანტა...

პატიკოს წყაროსთან ძალლი ყმუოდა.

-აღიწერა ხელითა მალის მჩხრეკელითა დავითისითა ქრისტეს ქეს შავი კორპ აქეთ ჩყბ შ. კორპ წელსა, თვესა მარტსა იწ შ. კორპ, და მოწამეცა ვარ ამა სიმართლისა -ჩუმად ჩაათავა მღვდელმა და მოკლეზე გადავიდა სულიწმინდის ეკლესიისკენ ურდულის დასადებად, რათა ტურები არ დასადგურებულიყვნენ ღვთის სახლში.

მთვარემ ერთი ვერცხლის ძაფი ბრეგვაძების ნასახლარზეც გადმოაგდო.

ეზოში ოთხი ლოდი დარჩენილიყო და ლადარში გახვეული ნაკვერჩხალი.

ერთაოზი ნალიაში აძვრა ღამის გასათევად. დიდხანს ვერ მოეწყო, რადგან მისი სიგრძე ნალიაში უნაშთოდ ვერ ჩაეტეოდა. მიხვდა ამს და ფეხები გარეთ დაუტოვა ღამეს. მეჩხერ კედლებში შემოსულმა მთვარის სხივებმა ზოლებად დაყო ერთაოზი. მერე მთვარემ ძუყნური მიატოვა და გოდოგანს დაადგა თავზე...

-ერთაოზ,-ჩაესმა ძილში ვიღაცის ხმა.

-ისიდორე ხარ?-ნალიიდან თავი გამოჰყო ერთაოზმა.

ეზოში გვერდისძირელი ისიდორე სოფრომაძე იღვა. მუხლებამდე ნამით იყო სველი და ბალახში სოკოს ჰერცინა, ერთბაშად ამოსულს.

-რაზე გარჯილხარ ამ უთენია?-ჰერთხა ერთაოზმა.

ისიდორემ თავით ანიშნა,-ჩამობრძანდიო. ერთაოზი მიწაზე ჩამოხტა, ნალია აჭრიჭინდა, ერთხანს იქანავა, გამოცდას ვერ გაუძლო და მიწაზე გაეფინა ზრდილობიანათ

.  
-კაი გამარჯობა შენი,-თავი დაუკრა ისიდორემ ერთაოზს და ნისლისფერი წვერი დან დილის ნამი ალმასებივით ჩამოსცვივდა.

-გაგიმარჯოს, თუ გინდა.

-გამომართვი ეს. თაფლია ამაში, მამაშენმა ერთი განაყოფი სკა მაჩუქა, ათი ურემი ნათელი დაადგეს. ერთხელ არ დასცდენია-ჩამასესხეო.

-რათ მინდა თაფლი, ისიდორე?

-მამაშენმაც, პირი ხისკენ მიქნია, ქარს და ბორიას ველაპარაკები, მაგისთანა და უფიქრებელი ლაპარაკი იცოდა. წეიღე ქალაქში და გაყიდე. ახლავე წადი, ნუ გადადე ბ, ხვალე ბაზრობაა...

ისიდორემ ხელი გამოსდო მკლავში, ერთაოზი კარ-მიდამოდან გაიყვანა.

-თაფლს ხო გაყიდი? ხელს ხო დეიცლი? მერე იმ ფულით ხო იყიდი დედალს? დედალი ხო დაგიდებს კვერცხებს? დააჭენ ზედ და წიწილები ხო გამოტყდება?...მერე, იმგენს რო გაყიდი, იყიდი გოჭს, მერე ი გოჭი ღორი გახდება, ხო ეყოლება გოჭები? გაყიდი იმგენსაც და ხო იყიდი წინაველში სირაჩხანას? მერე აგროვე და აგროვე ფული. მერე ბათუმში რო ბაქოა, იქინა იყიდი დიდ სახლს და არღანს...

-გავყიდი მერე იმ სახლს და გევისტუმრებ მამაჩემის ვალებს,-მიხვდა ერთაოზი.

-აბა რა, ბოში!- მოეწონა ისიდორეს ერთაოზის გაგონიერება-ქალაქში ვინც წევ იდა, ყველა შავი დედალივით გაკეთდა! მიდი, შვილო, მიდი!-ალერსიანად უბიძგებდა ქალაქისკენ ისიდორე ერთაოზს.-მარა ფაიტონებს ერიდე, იცოდე, ღმერთი არაფერ შვა შია მაგენის გაჩენაში!

ისიდორემ შარაზე დააყენა ერთაოზი, თვითონ ვერსის ქვაზე ჩამოჭდა.

-ასე წახვალ, ამ გზაზე, ჩაუვლი ნიუარაძის წისქვილს, გეივლი მერე კაკაოლლის ნაყანევზე, გახვალ მაცხოვრის ლელესთან, გაყობი და მიგიყვანს ლომსუსუნესთან, მერე დეიჭირე ცოტა ზევით, სუთის წვერს რო გადახვალ, მერე ცივი ტურაა, მერე ნათათრა ლები, ნაგომურები, ნარიავნელი, დივიზიონის ახო, თურმანიძეების ნასახლკარი, განდ აგანა ყანა, ლადიას წყარო...

-რაც იქნება, იქნებაო,-გაითიქრა ერთაოზმა,-სახლი მე არ მაქვს და გასაღები კარი, წავალ, ქვეყანას მაინც ვნახავ ნახევარს. შიმშილით სად ვიშიმშილებ, აქ თუ იქ, სულ ერთი არააო,-უკანასკნელად გადახედა სოფელს, სულიწმინდის ეკლესიას...

-კარგად მენახე, ისიდორე,-უთხრა ერთაოზმა და ქვევით მიმავალ გზას დაადგა. ადრიანი დილა იყო, მზის სხივები ედებოდნენ მთის წვერს, დაბლა კი ნესტიანი ჩრდილი იდგა და ციოდასავით. ობოლი ფუტკარი აედევნა ერთაოზს ერთხანს, შემდეგ ჩამ ოშორდა და ერთაოზი მარტო დარჩა.

-მერე მაჩვის წყაროზე რო გადახვალ,-გზას ასწავლიდა ისიდორე შორიდან,-საომ ტკე ტყეში გეივლი, მერე ნადეჟნას ბულლა, კროჭიყანა, სიმონიკას ნაომარი, ევტიხიას პლაცენტი....-თანდათან დნებოდა ისიდორეს ხმა, ბოლოს სულ გაქრა...

მიზანას ნასახლარზე ნიავი ქარქვეტა ბალახს აგორებდა და თესლს აკარგვინებდა.

### თავი მეორე

ქალაქი, რომლისკენ ერთაოზი დაიძრა, დღესაც არ აღინიშნება ყველა რუკაზე და ჩვენს დროშიაც „სხვადასხვა დასახლებულ პუნქტად“ იხსენიება. ამ ქალაქს შუაში პატარა მდინარე ჩამოუდიოდა, რომლისთვისაც, უფრო სწორი იქნებოდა, მოსიარულე წყალი გვეწოდებინა. ეკლარის ქვით ნაშენი სახლებიდან მუდამ გიტარის კვნესა ისმოდა. ღორები ბანკთან სამყურას გლეჭდნენ. ვენახებით დატყვევებულ ქალაქში ნახევარი მოსახლეობა მთვრალი იყო, მეორე ნახევარი კი უფრო მთვრალი, ანდა პირიქით. გუბერნატორს ჭიშკარს ჰპარავდნენ და ნალებს ჭედავდნენ. დიდთოვლიანობისას მგლები ტყიდან ტყეში ქალაქის ქუჩებით გადადიოდნენ მოკლეზე. სახელგანთქმულ ტრაგიკოსს, კუდრაჭა ჰპამლეტს დუქნიდან წამოყოლილი ღვინის მწერები დასდევდნენ სცენაზე, როგორც თავლია შტოფიანს, ტაშის დროს ჭერიდან კეტეტილები ცვიოდა. ცხენოსნები ტროტუარზე დასეირნობდნენ. უყვარდათ სიტყვები: „გენიოზი“, „გრადუზი“, „ესენცია“, „ბალზაკი“. სწამდათ სიზმრების, ჭიამაიების, მარჩიელების, ჭინკების; სწამდათ, რომ ხოჯავა მეთულუხეს ორი გული აქვს და სრიალა კუდი წინიდან., რომ ლობი თ მესამე წყალში იხარშებოდა. მოქალაქეთა ფიქრები დაბურული იყო, დამოკიდებულ ებანი კი - ტკბილი, ისტორიამდელი. ვაჭრობდნენ მტკნარად, ღიმილით. თავისუფალ დროს თავის ტკივილს ანდომებდნენ და.. რაც არ ავიწყდებოდათ, რომ თავების მფლო

ბელები არიან. საერთოდ კი თავებს ქუდში ინახავდნენ სათუთად, იმის ვარაუდით, რომ ოდესმე რამეში ეგებ გამოადგეთ. ფეხებს მეტი ავტორიტეტი ჰქონდათ, რადგან მათზე აზიატსკების ჩაცმა ხდებოდა ხანდახან, ან გავლვ-გამოვლისათვის, ან სასახლეში სამუდამოდ გოუხდელად ჩაწოლისთვის ლამაზად.

ოცდასამი თერთი, ოცდაორი მეთოთე, სამასი გიტარა, ბერუჩევის ბალი, ქინაქინა, ბანოჭის წურბელები, საპონი იარმუკის, თევზი რიბეცი, ჩაი კანტონის, სახლი ღვთის მშობლის -ერთი, სახლი საჯდომად -ორასსამი, სახლი-გირაოთი-ორმოცდათორმეტი, დროშის მტვირთველი-ერთი, პალკოვნიკი-ერთი, მწერალიც-ერთი.

უბედურ შემთხვევათა რიცხვები:

მეხდაცემულობა-3კაცი, 0 ქალი.

მკრეხელობა-7 კაცი, 29ქალი.

გაყინვა-1კაცი, 0ქალი.

ჩინოვნიკთა უპატივცემულობა-0კაცი, 0ქალი.

ქამასოკოთი მოწამვლა-78 კაცი, 78 ქალი.

კბილების დაგდებინება-25 კაცი, 0 ქალი.

კბილების ჩაგდებინება-57 კაცი, 0 ქალი.

გარეული ცხოველებისაგან დაკბენა-2 კაცი, 1 ქალი.

ქუჩებში ისეთი სიჩუე იდგა, რომ პეპელას გაიგონებდით და ყველა დღე უქმეს ჰავდა და იყო კიდევაც.

ასეთი იყო ქალაჭი, ერთაოზი რომ გამოჩნდა მის ქუჩებში.

„ნემეცის ქუჩაზე“ ერთ პატარა, პატიოსნად ნაშენი სახლის ეზოში ობერკონდუქტორი ტრიფონ ამყოლაძე რკინიგზელის ფარანში ნავთს ასხამდა. მისი მეუღლე, მარგალიტა ამყოლაძე კი ჩითის ნაჭერს აკერებდა იქ, სადაც ზურგი მთავრდება და ფეხები იწყება, საჯდომზე.

წყნარი საღამო იდგა, აკაციის ფოთოლიც არ თრთოდა.

შორიდან ორთქმავლის კივილი მოისმა.

-წევედი ახლა,-წაიღო ძაფი ობერკონდუქტორმა.

-მაცალე,-თქვა მარგალიტამ, სახე მეუღლის შარვალს დაუახლოვადა ბროლა კბილებით ძაფი გადაკვნიტა. შემდეგ ფეხზე წამოდგა, ტრიფონს შემოუარა, სათვალის მინები დაუორთქლა და ჩვრით გაუწმინდალამაზი სახე ფოკუსში მოურგო ტრიფონს სათვალეში, გაუღიმა.

-მაგვიანდება,-თქვა ტრიფონმა და ნაბიჯი გადადგა.

-მოიცადე,-ისევ მოანახია ფოკუსში თავის ? მარგალიტამ. „ეს რაფრა გამომყვა მე?“-გაიფიქრა ობერმა და მეუღლეს გაუღიმა. მარგალიტა რძეში ნაბანავებ მარწმვეს ჰავდვ, ფერვანი და ხორცვანი.

მარგალიტა მეორე ცოლი იყო ტრიფონასი. პირველი, ჩიტოლია, ვერ გამოადგა ტრიფონს, სხვანაირი ქალი იყო, ნაზად მჭამელი, ლოტოს მოთამაშე, დაჯდომისას კაბიდ ან ფეხი გამოუჩნდებოდა, მოდას აყოლილი !სუხარებსაც “ახრამუნებდასაჯაროდ, ბალკ

ონზე! ალუბალს ნემსით მიირთმევდა ფანჯარაში და მარაოს სუნამოთი ნამავდა.

ერთხელ ტრიფონმა რეისიდან ორი ნესვი ჩამოიტანა, ღუთმა, ესპაჰანიდან. ჩიტო ლია სახლში არ დახვდა. ტრიფონმა ერთხანს უცადა, უცადა, შემდეგ ჯიბიდან ჯაყვა ამ ოილო, გახსნა, ტარიდან მტვერი ამობერ და ნესვი გაჭრა.

ჩიტოლიას ლოდინში ტრიფონს ჩასძინებოდა, რომ გაეღვიძა, მზე უკვე გადასულიყო, ცოლი მაინც არსად ჩანდა. მაშინ ტრიფონს, მოწყენილოყა რომ შაეფანტა, თავში ერთი აზრი მოუვიდა: „მოდი, ამ მეორე ნესვსაც გავჭრი, ჩევიხედავ შიგნით, როგორია“. ტრიფონმა ნასვისკენ რომ წაიღო ხელი, ნესვი აღიღინდა და ქალად იქცა. ეს გახლდათ მარგალიტა.

ქალმა ტრიფონს შემოუარა, დაუჭდა წინ და უთხრა:

-თუმანი გექნება, მასესხე.

-თუმანი ფულია, -უთხრა ტრიფონმა.

-ჯიბეში თუ დევს და არ იძვრის, მაშინ ფული კი არა, პუსტიაკიაო, -უთხრა მარგალიტამ, -ფული უნდა გაასესხო, კაცი თუ ხარ, პრაცენტზე უნდა იცხოვრო.

-როდის დამიბრუნებ? - ჰკითხა ტრიფონმა.

-მექნება და დაგიბრუნებ, -უპასუხა მარგალიტამ.

ტრიფონმა ამოიოხრა, ტილოს ქისიდან ოქროს თუმნიანი ამოიღო და მარგალიტას გადასცა, თანაც გუნებაში გაიფიქრა: „კიდო კარგი, ის ნესვი რო შევჭამე, თვარა ისიც თუმანს მოითხოვდაო.“. ეს რომ გაიფიქრა, იმ წუთშივე მეორე აზრიც მოუვიდა: „მართლ კიდო კარგი, ის რომ შევჭამე, თვარა ისიც რომ ამნაირი ლამაზი გამომდგარიყო, რავარ ამბავს დააწევდა ჩიტოლიაო“. ფიქრის დასრულება ვერ მოასწრო ტრიფონმა, რომ ჭიშკართან ოფიცრების ფაეტონი ჩამოდგა და ჩიტოლია გადმობრძანდა. ოფიც რებმა ხელი დაუქნიეს ჩიტოლიას და გზა განაგრძეს.

ჩიტოლიამ მარგალიტა რომ დაინახა, გაიღიმა და თქვა:

-ა, რაში ყოფილა, თურმე, საჭმე, გამიგია ქე მაინცო.

მარგალიტამ ფეხი ფეხზე გადაიდო და სხვათა შორის უთხრა:

-მე ასე ვიცი: ქალი რომ სახლიდან საღმე წავა, საჭმელი მაინც უნდა დაუტოვოს ქმარს, დალაგებაზე არათერს ვამბობ...

-ვის ეუბნები მაგას, შე გათახსირებულო? - გულზე დაიკრითა ხელები ჩიტოლი ამ და თვალები დაწეურა.

-ვისაც ვეუბნები, ქე გაიგონა უკვე!

ასეთი გადალაპარაკება ჩხუბით დამთავრდა, ჩხუბი - ტრიფონისა და მარგალიტას სახლიდან გაძევებით.

-წამოდი, წამოდი, მე დაგდო ფასი, მე მოგიარო შენ, -უთხრა მარგალიტამ ტრიფონს და ობერკონდუქტორის ქუდს რეისის მტვერი მოაშორა. ქუჩის ბოლომდე რომ მივიღნენ, მარგალიტამ ტრიფონი გააჩერა და ჰკითხა:

-კი მარა, ის სახლი ვისია?

-მამაჩემის.

-მერე, მამაშენის სახლიდან ვიღაცა პამაღიანს თავს აგდებინებ, ყმაწვილო? წამ

ოდი ახლავე უკან!

სახლთან რომ მივიღნენ, კარი ვერ მონახეს, სადაც კარი იყო, იქ კედელი დახვდათ.

-სა წავიდა საწყალი მამაჩემის კარ-აკოშკა?-შეწუხდა ტრიფონი.

უარეს ირგვლივ სახლს, უარეს და, შესასვლელს რომ ვერ მიაგნეს, მოშორდნენ იქაურობას. ტრიფონმა გვარი გაუზიარა მარგალიტას, იშოვეს 1120 აგური, ფუთნახე ვარი „გვოზდის ლურსმანი“ და „ნემეცის ქუჩაზე“, ახალი სახლი ააგეს. დაიწყეს ცხოვრ ება ტკბილი და სასიამოვნო. ერთ-ორ წელიწას მარგალიტას ნესვის სურნელება დასდ ევდა და ტრიფონი ვერ ტკბებოდა მისი ყნოსვით. მერე ნესვის სურნელიც გაქრა და მა სთან ერთად, ის ერთგვარი უხერხულობა და გაკვირვებაც, რომელიც გამოიწვია ტრი ფონში მარგალიტას ნესვიდან გამოლამაზებამ.

ჩიტოლია მეტი აღარ უნახავს, მხოლოდ ხუთი თუ ექვსი წლის შემდეგ, რეისით მაჭავარიანებიდან რომ ბრუნდებოდა, მაშინ მოჰკრა თვალი თავის ნაცოლარსსაჩერე ში, „სობოროსთან“. ჩიტოლიას ხელზე ფილთიკოსის ჩულქი ჩამოეცვა და გამჭვირვალ ობას უსინჯავდა. გვერდით ფილხასი ედგა, ბუზიაშვილი, უშნოთ და უადგილოთ უფა თურებდა ხელებს. ტრიფონმა ამოიოხრა, მაგრამ მატარებელი მაინც არ გაუჩერებია. ერთხელაც ყური მოჰკრა, ცალყურა ჰყვებოდა მატარებელში: ჩიტოლია კარგად მოწყ იბილა, ბოლნისში გათხოვილა ოტტო ვეიცზეკერზე, შვილებიც ჰყოლია, გოგო-ბიჭი - ჰანსი და ციალაო.

ტრიფონი ახალ ახალ რეისში მიდიოდა.

შორიდან ისევ მოესმა ორთქმავლის კივილი.

ტრიფონმა თავი სადგურისკენ მიაბრუნა და მარგალიტას უთხრა:

-აბა, შენ იცი, მარტო რჩები. ახლა ქალიც ხარ და კაციც.

-ყური დამიგდე,, საქრისტიანოს რომ გასცდები, გევიგე, ნადეუნას ქმარს უთქვამ ს, იქანე ხმელი თევზი ნაყვარებათ,-მარგალიტამ სახლის ქვეშიდან ტომრები გამოათრ ია, ტრიფონი დაიხარა და ზურგი შეუშვირა,-ამ ხმელ თევზში მოგცემენ ნიგოზს, მერე იმ დსტანციას რო გაცდები, იქ ნაყვარებათ ნიგოზი. ნიგოზი გაცვალე მაკარონის ნერ გებში, განჯა-ერევანში იკითხავ - ხოჭა რომელიაო-თქო, ეტყვი ჩვენს ამბავს, გამოართმ ევ უშვილობის წამალს, თანაც, ამავე საფასურში, ეგების ეს საკაბკც შემიღებოს კოფე სმალაკოს ფერად,-მარგალიტამ მკვრივად შეკრული საკაბე ქამარში ჩაუტენა მეუღლე ს.-იმის მერე აღარ გააჩერო არსად მატარებელი, ყაჩაღმა ვინმემ არ შეგამსუბუქოს.

- ხო, კაი.-თქვა ტრიფონმა და ზერგზე ჩამოკიდებული ტომრებით სადგურისაკე ნ წავიდა.

-ოლოას თუ შეხვდე, ბიცოლაჩემს, ჩქარა ჩაუარე, ჯადო არ გაუკეთოს თვალები თ პარაოზს.-დაუძახა აივნიდან მარგალიტამ.

მზე არქიელის გორას გადასცდა, მატარებელი კაკუნით ჩაგორდა ვაკეში, სირბი ლს უმატა, ერთი გამოჩნდა მდინარის პირას ტიკარაძეებში და ბროწეულებში დაიკარ გა.

დაღამდა. აგრილდა. ცაზე ვარსკვლავები აინთო. მხოლოდ სახლის კედლებს შერ

ჩენოდა დღის სითბო.

ვარლამია ხარაზმა ურდული დაადო დარაბას. აფთიაქში იაშა პროვიზორმა მწვ ანე აბაჟურიანილამპა აანთო. ბულვარზე პოეტი გამოჩნდა, იასამნის ბუჩქის ქვეშ ჩამ ოჯდა და სერაფიმებს ლოდინი დაუწყო. მეორე პოეტი კი სიზმარივით ჩააჭროლეს ეტ ლით ხანჭლიანმა გიმნაზისტებმა პირველი მგოსნის გულსაკლავად.

ამასობაში, ერთაოზი მოუნათლავ კატასავით დაეხეტებოდა ქუჩა-ქუჩა, სანამ ში მშილმა ერთ ვიტრინასთან არ გააქვავა.

დედალი გულში ჩაეხუტა. გვიანი საათი იყო და სავაჭროში მხოლოდ ერთი მუშ ტარი დარჩენილიყო, მკვახე ბიასავით მაგარი, კოჭდაბალი, უჭიო კაცი. ეს გახლდათ ც იხის უფროსი ხუტა ოდიშარია. გრძელი ხმალი ეკიდა, ბოხოხი პასკასავით ედო თავზე , ხელ-ფეხი გუდასავით მოკლე ჰქონდა, თმა და ულვაში-უძრავი.

ერასტი მედუქნე ალერსით ტვირთავდა ციხის უფროსს. რა არ ეყიდა ოდიშარია ს: ნაზუქები, საგანელოვის პონჩიკები, შამპანური ღვინ გასახსნელათ და ისე ღვინო სა სმელათ, ჩურჩხელები, შაქარყინული, ერთი ტიკი ხიზილალა... ყველაფერს ვერ ჩამოთ ვლის კაცი.

ბოლოს, როგორც იქნა, გარეთ გამოვიდა და უკანმოუხედავად ჩაჰყვა აბალახებუ ლ ქუჩას. ხუტას ფუნაში გამოვლილ დეზებს ბუზები მისდევდნენ უთანხმოებით.

ხუტას ნაყიდებს ორი ხელი არ ეყოფოდა, ამიტომაც, ქუჩის ბოლომდე არ იყო მ ისული, იღლიიდან რომ პური გამოუცურდაშეუმჩნევლად. ერთაოზი დარწმუნდა, პატ რონმა დანაკარგი ვერ შეამჩნიაო, მიირბინა და პური მიითვისა. პურს მალე ყველიც მ ოჰყვა. ერთაოზი კვალში ჩაუდგა ხუტას და ლანდივით აეკიდა.

ციხის უფროსს ძალიან ეჩქარებოდა და ვერაფერს ამჩნევდა, ხან შემწვარი უვარ დებოა და ხან მოხარშული. ორიოდე ქუჩის შემდეგ ერთაოზი ისე გამოძღა, სულს ძლ ივს ითქვამდა. საყასბოს წინ გახუნებული ძალლი ხორცის საჩეხ ჭირკს ღრღნიდა. ერთ აოზმა სულგრძელად გადაუგდო ნაზუქი, ძალლმა ჭირკი უარყო და ნაზუქს ეცა.

ასე და ამგვარად, ხუტამ და ერთაოზმა ერთად მიაღწიეს „ნემეცის ქუჩას“, სადა ც ობერკონდუქტორი და მისი შეუღლე ცხოვრობდნენ.

ხუტამ სწრაფად შეაღო ჭიშკარი და კართან მიიჭრა.

-ქალბატონო მარგალიტა,-ჩურჩულით დაუძახა ციხის უფროსმა.

-რომელი ხარ?-მოიმა ოთახიდან.

-ოდიშარიძე.

-რომელი ოდიშარია, ხუსკივაძე?

-ციხის უფროსი.

-ჩემი ქმარი სახლში არ არის.

-მოვიდა სიგნალი.

-რა გნებავთ?

-როგორ მომენატრეთ, ხოხ! ძლვენი მოგართვით: ინდიხურმა, თქვენ რომ ნაგყვა რებათ! ქიშმიში, სუხარი, სილამაზის საპონი, ამერიკა საიუბკე, ვანილი, ნაფტალინი, მ

აკარონის ნერგები...

, სახლი რომ მაქვს დაულაგებელი? ვანილი?!

- მოგეხმარებით, ცოლ-შვილს ვფიცავარ, ოლონდ შემომიშვით! ვანილი!

აგრუხუნდა რაზა, კარი ჭრიალით გაიღო.

- შემოდი, მარა იმნაირი არ გეგონო,-თქვა მარგალიტამ და ხუტამ თავი შერგო კარებში.

ეს გასაუბრება კარგად მოისმინა ერთაოზმა, მაგრამ შიგ რაც ხდებოდა, ოთახში, ვეღარ გაიგო. დაღლილი იყო, ეძინებოდა. მიიხედ-მოიხედა, გოდორი შენიშნა, შეძვრა შიგ, თვალები დახუჭა და ის-ის იყო, ძილს უნდა მისცემოდა, უცებ თავზე ვიღაც სუფ თად გამოწყობილი, ჩალის შლაპიანი კაცი დაადგა.

- ხომ არვინ შესულა აქ?-იკითხა კაცმა.

- კი, მსხვილი, ჩექმებიანი კაცი.

- ყველაფერი დასწრებაზეა ამ ქალაქში!-ბრაზით თქვა კაცმა.-აზიატები ვართ, ნა მდვილი აზიატები! ორასი! სამასი! ოთხასი წელი უნდა!

ერთაოზი რომ ქალაქელი ყოფილიყო, ეს კაცი ეცოდინებოდა. ეცოდინებოდა, რომ ის ნეო-ნერვო-კლინიკის დამაარსებელი და გამგე-ექიმი იყო, ისიც ეცოდინებოდა, რომ ნოშრევენი მამამისის სიკვდილის შემდეგ რამდენიმე წლით გაქრა ქალაქიდან, რომ ეს წლები უნაყოფოდ არ დაუხარჯავს, მეცნიერების დაუფლებას მოანდომა ჭერ თ დესაში და ხარკოვში, შედეგ - ევროპაში. იმასაც გაიგებდა ერთაოზი, რომ დაბრუნებ ისას ამ ჩია, მაგრამ ჯოჯოხეთური ენერგიის კაცმა ააშენა ნეონერვო-კლინიკა, პაციენტების ძებნაში მთელი იმერეთი ფეხდაფეხ შემოიარა და „მსოფლიო მნიშვნელობის ფსი ქიატრიული მასალა“ დააგროვა.

- წავიდე პოლინასთან?-უფრო თავის თავს, ვიდრე ერთაოზს, ჰკითხა ნოშრევანბა და თვითონვე უპასუხა:- წავედი პოლინასთან.-თქვა და გაქრა.

ერთაოზი გოდორს დაუბრუნდა და ძილს მიეცა.

ცაზე დიდი, მრგვალი, ლამაზი მთვარე დაეკიდა.

მარგალიტა ამყოლაძის ოჯახში კი ციხის უფროსი ოდიშარია ფეხზე წამოცმული ჯაგრისით იატაკს აპრიალებდა. მაგიდაზე სკივრი ილგა, სკივრზე-სკამი, სკამზე მარგალიტა იჭდა, თაფლს კოვზზე ახვევდა და ვანილს სუნავდა.

ოდიშარია კარგა გადაყლურწული იყო და აგზნებულად ეუბნებოდა მარგალიტას:

- ხოხ, ნეტავი თქვენ ბრძანდებოდეთ ჩემი პატიმარი.

- ასი ვარამი ჩმ მტერს!

- ჩაიდინეთ რამე დანაშაული, რა!-დაიღრიჭა ხუტა.

- რატომ?- წარბები დაეტეხა მარგალიტას.

- ვინმე მოწამლეთ, ან, მაგალითად, ტრიფონი. ბოლოს და ბოლოს, რა არის ამაში ისეთი, გოუგონარი.

- დაწყნარდი, ციხე, დაწყნარდი!

- ბალიშით გაგუდეთ... ქერძაფი ჩაასხით ყურში... ღამე ხომ იქნება?!... მერე მე დ

ამიძახ მე!... შეგქრავდი, ბორკილებს დაგადებდი, ჩაგიხუტებდი, ჩაგსვამდი ჩემთან, კამ ერაში... ისე გიყარაულებდი, ნიავს არ მოგაკარებდი! ჩაიდინე დანაშაული! მოკალი, და აახრჩე... მოდი, ნუ გადავდებთ, ახლავე, ამ წუთში... ა, ლივერი მესროლე!-ამ სიტყვები თ სიტყვებით ოდიშარია სკამს ეცა და სკამიანად აიტაცა სანეტარო. მარგალიტა სკამ იდან ჩამოხტა და კუთხისკენ გაიქცა.

-დანაშაული მინდა, დანაშაული! რამე დანაშაული! მრეკე, ქალობატონო მარგა ლიტა, ბოთლი, რა!-თავს არ იზოგავდახუტა.

ამ დროს, რაღაც ეშმაკად, ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

-მევდონი! ვარინკა გაიგებს! ო, სი კახპა, სი!-გათეთრდა ოდიშარია.-ჩილ დო სკუ ას ვარკენდი დო თეშა მომიღუდ, მაგალითად! მიღართუ პოეზდიქია?

-რავა, ვერ გაიგონე, რომ იკივლა?!

-აბა ეს ვინაა?

-ტრიფონია! კვახი დარჩა, ალბათ.

-ჭკვერ კოჩს კოპეშია ვაძსკიდ?!

ოდიშარიამ ხელი წავლო კიტელს, ჩექმებს, იარაღს და კარადისკენ გაქანდა.

-არა!-წინ მარგალიტა გადაეღობა,-მაგაში ვერ შეეტევი.

ოდიშარიას ბათუმის სიცხე აუგარდა თავში. ზანდუკს ეცა, თავი ახადა, მაგრამ უხმარი საბნებით, ლეიბებით და სპილენძის ჭურჭლით სავსე სკივრი თავშესაფრად არ გამოადგა. მიიხედ-მოიხედა.

-რა ვქნათ?-ხმა აუკანკალდა ციხის უფროსს. კარებზე ბრახუნი გრძელდებოდა.-დამიქციე, ხომ, ოჯახი? ხომ დამხსენი ეპოლეტები?!

მარგალიტა ლოყებს იკაწრავდა და დროშასავით გაშლილ-გაფრიალებული ოთა ხში დაჰჭროდა.

-ავტორიტეტიქ მემინდინუ კათაწყუმა!- წამოიყვირა ოდიშარიამ და ბუხრისაკენ გაქანდა,

-ხო! ხო!-მოუწონა მარგალიტამ,-ხო, ხო! და ხო!

-ნაღვერდალი მითანტ-მოთანტა მარგალიტამ და ბუხრის გულში სკამი ჩადგა.

-მიდი, მიდი!-უბიძგა ციხის უფროსს.

კიდევ ერთხელ გამოჩნდა ნავთში დასვრილი ოდიშარიას ფეხისგულები და ციხი ს უფროსი საკვამურში გაუჩინარდა.

მარგალიტა კარისკენ მიბრუნდა.

-რა მოხდა, ტრიფონ, ამისთანა, რომ ჩამოიღე კარები?-მოგონილი მთქნარებით იკითხა მარგალიტამ.

ბრახუნი გრძელდებოდა.

-ხო, ხო, მოვდივარ, ვაღებ!

ბოლოს, როგორც იქნა, კარი გააღო.

ოთახში ტელეგრაფისტის ფორმაში გამოწყობილი თორმეტი-ცამეტი წლის პირ ტიტველაი ყმაწვილი შემოიჭრა, დაჭმუჭნული ცხვირსახოცით ისსფერ ცხვირს იხოცავ და, ზრუნვას გადაჩვეული თმა შუბლს უმაღავდა, ბეჭები და ზურგი ქერტლით ჰქონდ

ა დაფარული.

-ვერ მიცანი, დეიდა მარგალიტა? ღერონტი ვარ, ტელეგრაფისტი,-ბეწვივით წვრილი ხმით თქვა ტელეგრაფისტმა.

-მერე, რა მოხდა ისეთი, სანაია რომ ჩამოიღე კარები?

-ელვადეპეშაა!

-ვისი ელვაა?

-ტრიფონიასი, ხარაგოულიდან.

მარგალიტამ დეპეშა გამოსტაცა და ისევ უკან გაუწოდა.

-რაცხა შავი ხურმა ვჭამე და ასოები გაიიმიმისაქნა.

ღერონტიმ ჩახველა და კითხვა დაიწყო:

„მარგალიტა ამკოლაძეს შავგვრემანს და შახიანს ვირისფოელა ადიდდა, მოაქვს ხეები, აკვნები, კაკლის კომოდები, ვარდენ ყიფიანები, ვდგავარ, პრტკილად იკავი. მარ დუვენა ტვლი ტამაშობს კორბულას პრალიოტები მუდამ შენი ტრიპონები.“

-არა უშავს, მე მარცხენა მითამაშებს,-შვებით ამოისუნთქა მარგალიტამ.

ღერონტი ტელეგრაფისტი წასვლას არ აპირებდა. იდგა, როგორც ყველა დროი ს და ყველა ერის ფოსტალიონებს სჩვევიათ, ადგილზე.

ამას ფული უნდა ან არაყი,-გაითვიქრა მარგალიტამ, მაგრამ უცებ სულ სხვა რამე გაიგონა:

-მარტო ხარ?-აღზნებულად იკითხა უასაკო ტელეგრაფისტმა,-უი, შენს გამჩენს ვენაცვალე, მარგალიტა ბიცოლა! ერთი მაკოცნინე, ნუ მეტყვი უარს, პატარა ვარ, და მამახსოვრდება!- ჩანთიდან იღებდა და ვერ იღებდა ჭრელ კვახს სანაია-ტელეგრაფისტი.

მარგალიტამ ტაფის სახელურს ჩვარი ააცილა, ღერონტის ცხვირში წაუჭირა და კარებთან მიიყვანა.

-შაშიკომ პირი დაგბანოს, გადაგაყენოს და დაგაძინოს,-უთხრა მარგალიტამ, სიყვარულიც? კვახი გამოსტაცა, ტელეგრაფისტი გარეთ გააბრძანა, კარს ურდული დაადო, კვახი ზანდუქში ჩადო და ბუხრისკენ გაქანდანდა.

-ოდიშარია! ციხე, ციხე!-თავი შეჰყო ბუხარში მარგალიტამ. პასუხი რომ ვერ მი იღო, ურდული ისევ აშალა, გარეთ გამვარდა და სახურავს ახედა. არათერი იძროდა, არავინ ჩანდა. სიჩუმეში გაიშრიალეს გასაშრობად გამოკიდებულმა ლორის ნაწლავებმა, გაბაშვილის გორიდან მამა გერმოგენის ძალლის გაბმული მთქნარება მოისმა. შვანგირ აძეებში საზამთრო გასკდა, ჩრდილი დაუგრძელდა, ქვეშიდან შეშინებული ჭრიჭინა გამოხტა, სიმღერა აურია...

მარგალიტამ კიბე მახურავს მიაყუდა.

-უი, უი?-ჩუმად მოთქვამდა მარგალიტა და ზევით მიძვრებოდა.

ერთაოზი წამოდგა, შუა ეზოში გავიდა და ზევით აიხედა.

მარგალიტამ თეძოების ტრიალით სახლის ქოჩორი გადაირბინა და საკვამურთან მიიჭრა თოხით.

-ციხე, ციხე!-ჩასძახა ჩუმად საკვამურში, შემდეგ ვარსკვლავებს უთხრა: -ახლა მი

ტირეთ მაღალი ხმით!

მარგალიტამ თოხი ბოლსადენში ჩაუშვა და , რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დააწვა ა. თოხი ქვევით არ ჩადიოდა.

-გაიჭედებოდა რამე?-ჰქითხა ერთაოზმა მარგალიტას, გასაცნობად, ისთე.

-ვაი!მარგალიტა საკვამურს ამოეფარა,-ფუი ეშმაკს!-მალ-მალე გადიწერა პირჯვა რი.

ერთაოზი უცებ აძვრა კიბეზე.

-მე ბრეგვაძე ვარ, ერთაოზი მქვია, დამაღამდა ქალაქში, ნამეტანი ბოლიში, ასე უკითხავად რომ შეგეკედლეთ.

-პატრონ-მყვარებელი გყავს ვინმე?-მოკლეზე წავიდა მარგალიტა.

-უკვე ობოლი ვარ.

-სახლი? კარი? ქუდი?

-უკვე არაფერი მაქვს,-უპასუხა ერთაოზმა.

-მაგას რა ჭობია! მოგანდო ვითომ თავი? არ დამღუბავ, არ დაგცდება არსად სი ტტყვა?

-კუბო!-უპასუხა ერთაოზმა.

-არც სიმთვრალეში?

-არ ვსვამ

-ვითამ? -თვალის ფსკერში ჩახედა მარგალიტამ.

-მიყმე!

-ყური მიგდე, ბუხარი ჭვარტლით გამევსო, შემეშინდა. ერთი მეგობარი თაფლი-კაცი გამეჭედა შიგნით. და-ძმასავით გვიყვარს ერთმანეთი. იმნაირი არ გეგონო...

-მერე?

-შიგნია უკვე და ხმას არ იღებს...

-ჩადი ახლა ოთახში, მე ზევიდან დავაწვები, შენ ქვევით დაუხვდი.

-კამფეტი და ლელვის ჩირი!-დაპირდა მარგალიტა და ოთახში ჩაფრინდა.

ერთაოზმა სასინჯათ ფეხი ჩაჰურ საკვამურში, რაღაც სრიალაზე გაუსვ-გამოუსვა , შედეგ ამოიღო და ჩასძახა მარგალიტას საკვაურში:

-ამას თმა არ ჰქონდა?

-არა

-მაშინ ამის ზევით ამოყვანა არ გამოვა.

-ქვევით დაუშვი, ქვევით, მე დაუხვდები სევდით!-შიშისაგან ლექსი დაემართა მა რგალიტას.

ერვაოზმა ისევ ჩაჰურ ფეხი საკვამურში, დააწვა და უცებ ფეხს საყრდენი გამოე ცალა, ოთახში გრუხუნი გაისმა.

ერთაოზმა სახურავი მიატოვა, კვამლით სავსე ოთახში შეიჭრა, ძლივს მიაკვლია ბუხარს, მარგალიტამ ფანჯრები გააღო და ბოლი ტაშტით გადენა.

ბუხარში ორად მოკეცილი ოდიშარია იჯდა. თვალები დახუჭული ჰქონდა, სახე-გამურული, ცალ ხელში რევოლვერი ეკავა, მეორეში-შტოფი.

მარგალიტა კედელს მიეწეპა.

ერთაოზი არ დაიბნა, ციხის უფროსი ბუხრიდან გამოათრია, იატაკზე გაშალა და გულზე სასმენელი დაადო.

,ჩაბარდა პატრონს,-თქვა ერთაოზმა და ყური გამოცვალა.

-რომელს?

-გავიდა გაღმა.

-სა გაღმა?

-მარილზე...-პირველ ყურს დაუბრუნდა ერთაოზი.

,რაის მარილზე, თქვი, ნუ მომკალი!

-ხომ არ უმღერია?-გაახსენდა მამის სიკვდილის სიმპტომები.

-არ ვიცი!

-აბა, რისგან მოკვდებოდა? რაღაცა იფიქრა, ეგება განიცადა რამე შიგნი. რას უჩიოდა ბოლო დროს?-ჭკვიანობდა, როგორც მიღებულია ასეთ დროს, ერთაოზი,-აწუ ხებდა რამე, ამბობდა რამეს? არ ჩანს მანდამაინც სასიკვდილე.

-იყო აუცილებელი სასიკვდილე! რამე უნდა მოვიფიქროთ, თვარა ორივეს ეტაპი თ გაგვასახალინებენ.-ფერებს იშორებდა სახიდან მარგალიტა.

-ჩვენ მოვკალით, თუ? დავუძახოთ ამის ცოლ-შვილს, ხუცესს, გავაპატიოსნოთ. დრ გვაქვს, ეს საწყალი მალე არ გაფუჭდება, კარგათაა ბოლში გამოსული.

-შენ ჭაჭა ხვარ გიჭამია? კაციშვილმა არაფერი არ უნდა გაიგოს.

ერთაოზი ერთხანს იდგა, მიცვალებულს დასცემეროდა დაფიქრებული.

-ეს უნდა დაიმარხოს?-თქვა ერთაოზმა.

-რასაკვირველია და სასწრაფოდ!

მარგალიტამ სკივრიდან ნოხი ამოიღო და იატაკზე გაშალა ოდიშარიას გვერდით.

ფურცხვანიძეებში ძაღლმა ყმუილი დაიწყო, სასიკვდილემ, შავგულიძეებისაც აკ ყვა თანაგრძნობით იმას ორი ჭომიდან.

-არიქა, დეიწყეს ამათმა პანაშვიდი! აგერ, ამ ხატზე შემომფიცე,-მარგალიტამ ღილები აიწყვიტა მკერდზე და ერთაოზს ორ თეთპ გორაკს შორის ჩამოკიდებულ წმინდა და გიორგის ხატზე მიუთითა,-რაც უნდა მოხდეს, ხმა-კრინტი არ დაგცდება ჩემზე; შე მომფიცე!

ამ სანახაობამ ერთაოზი ააძაგდავა.

-ვფიცავ!-იჯვარა ერთაოზმა,-ამ მკვდრის წონა ოქრო რო მომცენ, სიტყვას ვერ დამაცდენინებენ!

-აკოცე!-მოითხოვა მარგალიტამ.

ერთაოზმა პირჯვარი გადაიწერა, სასუფეველში ჩაყვინთა და ხარბად დაეწაფა წმინდა გიორგის ხატს.

-ვფიცავ!-ღრმად ჩაისუნთქა ერთაოზმა და ანთებული ბაგეებით კდევ ერთხელ ეამბორა ხატს, მაგრამ ამჯერად ტუჩები ასცდა წმინდა გიორგის და მის ძებნაში საჭიროზე მეტი დრო დაიკარგა.

საათმა სამჯერ ჩამოკრ, -არიქა, გათენდა საცაა!-გულგახეთქილი დაფაცურდა მარგალიტა. ერთაოზი ამაოდ ცდილობდა, წაერთმია მიცვალებულისათვის რევოლვერი და შტოფი.

-ორივე უყვარდა უბედურ, იმიან-იმიანად მომაშორე.

სულ მალე მკვდარი გააყოჩალეს, მური ნავთის ფითილით მოაშორეს, ნოხში შეახვიეს და სა სარეცხის ბაწრით გაკოჭეს. მერე ერთაოზმა ოდიშარია ბეჭიე გაიდო, სამჯერ წაღმა დააბრუნა, სამჯერ თავით კარზე ზრდილობიან ქართულათ დააბრახუნა და გარეთ გამოიტანა.

—ნოხი არ დაგავიწყდეს, მამაჩემის ნაქონია. მკვდარს წყალში არ გადაუძახო, თვარა გიმნაზიასთან გამოაგდებს და ორივეს გაგვაციმბირებენ, -არიგებდა მარგალიტა, - გეიტანე საცხა სამძლვარგარეთ და იქ დამარხე.

—ამას რომ დაგაბინავებ, დავბრუნდები... რა ლამაზი ხარ!-თავი ვერ შეიკავა ერთ აოზმა.

—მერე, მერე მაგი, -გააწყვეტინა მარგალიტამ, -რო დაბრუნდები, თეთრ პურს გაჭმევ, შაქარს გაგასინჭეთ, გაგათბობ, მე ვიცი შენი სიამოვნება... მიდი, მიდი, გატყდა ლამე!

ერთაოზს უკან რჩებოდა თვალებიც და ფეხებიც, შაქარი რა იყო, არ იცოდა, მაგრამ შაქარზე გემრიელი გასინჯა უკვე.

-რეიზა არ მიღიხარ, ბიჭო?!

-გზაზე ვდგავარ, დევილოცო კიდო...

მარგალიტამ გულ-მკერდი გადაუშალა და ეთხელ კიდევ გაასესხა წმინდა გიორგი. გულუხვმა მლოცველმა კი ერთხელ კიდევ აკოცა წმინდა გიორგის, კიდევ ერთხელ მოიარა ხევ-ხუვები მხურგალე ლოცვით.

-რას შობი, ბიჭო?!

—წმინდა გიორგის ვეძებ...-წაიკვნესა ერთაოზმა.

—რა უნდა მერე მქრწმინდა გიორგის?!-ძლივს ააგლიჯა თეძოებიდან ექსტაზში გადავარდნილი ერთაოზის ტუჩები მარგალიტამ.

ერთაოზმა მიცვალებული გაისწორა ბეჭიე. დედალი აფრინდა, განსვენებულს, განსვენებულს შეასკუპდა. ერთაოზი ლამეს გაპყვა მთვარის მორიდებით.

ბერუჩევის საათმა სამჯერ ჩამოჰკრა.

ერთაოზი ქალაქს გასცდა. იარა, იარა და ერთ ჩამქრალ საკირეს მიადგა. მიცვალებული მიწაზე დადო და საფლავის თხრა დაიწყო. საზამთროს სურნელი მოეფინა არემარეს.

სულ მალე საფლავი მზად იყო, ერთაოზი ზევით ამოვიდა, ბაწარი შეხსნა მიცვალებულსჯვარი გადაიწერა, საფლავს დაუმიზნა, ნოხი ასწია: ოდიშარია საფლავში გადაგორა.

—ხოხ...-მოისმა საფლავიდან შვების ხვნეშა, -ლამპა აანთე, ჩემო ანტიკა, თვარა სა

ფლავში მგონია თავი,-ეშეიანად თქვა ოდიშარიამ.

ხუტა აბაგუნდა საფლავში.

-სად ვარ?!-იყვირა ციხის უფროსმა. გაისმა ეჭვსი სროლა.

ერთაოზმა სვეც და ბედიც ფეხებს მიაბარა და ტყისკენ გაიქცა. შავი დედალიც მას მიჰყვა. „ნოხი არ დაგრჩეს, მამაჩემის ნაქონიაო“-ერთაოზი მობრუნდა, დაინახა, რომ ოდიშარია საფლავიდან ძვრებოდადგებოდა, ნოხს მივარდახელი სტაცა....

-არ გაინძრე!-შეჰყვირა ხუტამ.

ერთაოზმა არ დაუჭერა და გაიქცა.

ოდიშარია ერთაოზს დაედევნა, თან ჰაერში ისროლა და ისევ ეჭვსჯერ.

-შეჩერდი!

მანძილი მათ შორის თანდათან მცირდებოდა, ერთაოს ნოხი უშლიდა სისწრაფე ში.ციხის უფროსი დაეწია და ნოხს ფეხი დაადგა. ერთაოზმა ქვა ცხვირით გადაიარა.

გვერდზე დედალი ტრიალებდა, მიმართულებას ეძებდა.

თხელი ღრუბელი მთვარეს მოჰყარებოდა.

ამჯერად ოდიშარიას მიჰქონდა ერთაოზი. ჩვენი მეგობარი ისევე კარგად იყო ნოხში გახვეული, როგორც ციხის უფროსი.

-შენ ამოთხრილ მიწას შენვე დაგაყრიდი გულზე, შე ჭიბიდან გავარდნილო, მარა ა შენისთანებისათვის უფრო სხვანაირი საფლავი მაქვს მე საინტერესო.

ოდიშარია დაიღალა. ხეს მიაყუდა მესაფლავე, შუბლზე დამბახა დაადო და ჰკითხა:

-ულაპარაკოდ გელაპარაკები, ვინ დაგავალა ჩემი თელო ჩახრა?-ატაკა შავი დედალი ოდიშარიამ ცხვირში ერთაოზს.

„დეიფიცე, დეიფიცე“, -გაახსენდა ერთაოზს მარგალიტას ჩურჩული და თვალწინა თეთრ ცხენზე წმინდა გიორგი წარმოუდგა, მარგალიტასავით ლამაზი.

-რო დაგარტყამ ცხელ ტყვიას,-უყვირა ოდიშარიამ,-მაშინ ამოიღებ ხმას!

თენდებოდა. მიცვალებული სატრფოს სახლს რომ მიადგა, ნოხში გახვეული და მორად ქცეული ერთაოზი კარებს დაუშინა.

კლიტემ დარტყმებს ვერ გაუძლო და ციხის უფროსი თავის ტვირთით ოთახში შევარდა.

მარგალიტა ტახტზე შეხტა და უთო აღმართა.

-ჩავიდენ დანაშაულს!-იკივლა ქალმა. ოდიშარიამ ტყაიების ჩაწყობა დაიწყო, ჩახმახი შეაყენა და მარგალიტასკენ დაიძრა.

-რაზე მმარხავდი მთლად!?

-მეე? შენ?-ააშრიალა წამწამები მარგალიტამ.

-შენ! მე!-უტევდა ხუტა.

-გაგიხმეს ენა, მაგას რომ მეუბნები!-იწყინა მარგალიტამ.

-რა მჭირდა დასამარხი?!-ოდიშარია იატაკს დეზებით ჩხაპნიდა.-,ჩემი ქმარი მევ იდაო, -ამ ღროს, თურმე, სხვას ყვარობ!

მარგალიტამ უთო ბუხრისკენ გაიშვირა.

-შენ იქანაობისას ტვინი ხვარ გაგეჭვარტლა?

-მაშინ, ვინ არის ეს არარჯული?-გაკოჭილი ერთაოზი ბუხართან ეგდო. საბრალოს გული წასვლოდა. გვერდით უძილო და ფათერაკებით გადაღლილი დედალი იწვა, ისიც ფეხებშეკოჭილი.

-რა ვიცი, ვინაა,-თქვა მარგალიტამ და უინტერესოდ დაამთქნარა.

-აბა, როგორ ჩაუვარდა ამას ჩემი გვამი?

-სად არი აქ გვამი? სად არი გვამი, გეკითხები?!-იკივლა მარგალიტამ.

-ო, რა გველი ხარ! ამ მუნიანში რავა გამცვალე?-გულწრთელად უკვირდა ციხის უფროსს.

-რას ჰგავს, მა უპატრონო,-იოლად დაეთანხმა მარგალიტა,-კაცს სამი ზახრაბრუსტის მედალი გაქვს, მაგაში რავა გაგცვლიდი?

ოდიშარიამ სარკეს გახედა, დაწყნარდა. მარგალიტამ მკერდზე ბაფთა გაისწორა . ხუტა მოლბა.

-ბიჭო, რო არ მომწონებოდი, რაბილონის პანაშვიდზე მიცვალებულს ისთერომ შემოუარე, ხომ შეგხედე იმნაირად?-მარგალიტამ უთო გვერდზე გადადო, თვალები აა რონონა და ტუჩები ბურბუშელასავით გადმოშალა.

-ლამაზო ობობავ, ნუ მიყურებ მასთე!-თხოვა ხუტამ.კიდევ ცოტა და ციხის უფროსს ალი აუვარდებოდა. იატაკიდან ერთაოზის სუსტი კვნესა მოისმა. ერთაოზმა ჩაიკვნესა

-ეს ყაჩალი რამ გააჩინა აქ? წვიმამ?

-მე არ გნახო შენ ცოცხალი, თუ პირველად არ ხედავდე შენ მაგას! ხუტას ვენაც ვალე, მომე მა ქათამი, ისეთ საცივს გაგიკეთებ, მდუღარე ქაფქაფა, ნიგოზი ქათქათა...

-ქათამი ძიებაშია!-გააწყვეტინა ხუტამ, ერთაოზს სახეში ღვინო შეასხა და მკაცრად ჰკითხა: -ამ ქალს თუ იცნობ?

ერთაოზმა მარგალიტას ახედა, სიყვარულით გაუღიმა და მისუსტებული ხმით თ ქვა-

ვხედა, არსდროს!

-უველაფერს გამოვარკვევთ ჩვენ,-ხუტამ იტვირთა ერთაოზი და უმშვიდობლად გავიდა ოთახიდან.ახედა მთვარეს; ისე უთხრა:

-მუჭო დოლურო ოროფაქ, ჭჭილი დო სკუა უჭიგუ იფრელს, ეშაკებს მარგალიტა შ დუდი!

თავი მესამე

ქალაქის საპყრობილე გრძელ და დიდებულ მეათე საუკუნეში აგებული და მოკლე საცოდავ მეცამეტეში დანგრეული ტაძრის ეზოში მდებარეობდა.

მეცხრამეტე საუკუნის ერთ გაზაფხულზე ქალაქის მმართველობამ გადაწყვიტა ა ქ სატე.უსალო გაემართა.დაადგეს ძველ დილეგებს და ჭურებს თავსახურავები, შეისყიდეს ფოლადის ბორკილები, გალავანი შეაკეთესავით და პირველი ბინაღრები წაშალეს პირისაგან და მიწისგანაც.

სწორედ ამ საპყრობილეს ეზოში გაიმართა ერთაოზის საქმის გარჩევა, რომელიც ეზუტამ გამოცდილ სავლე ღვინჯილიას მიანდო, მამიდაშვილს დედის მხრიდან.

სავლე ხნიერი კაცი გახლდათ, თვითონაც მრავალი წელი გაეტარებინა ამ დილე გში.

სავლემ თავის თავზე დაკვირვებით აღმოაჩინა აღმიანის სხეულზე მტკივნეული ა დგილები, ამიტომაც მის მიერ წარმოებული გამოძიება ყოველთვის წარმატებით მთავ რდებოდა.

ერთაოზი უთენია დააკრეს მიწაზე, იღლიებში და სარცხვინელში ბებერი ჭინჭა რი გემრიელად შეუფინეს. მესამე დღე იყო, სავლეს ოჯახი არ ენახა, გაუჭირდა ეს გამ ოძიება. ხუტა კი, ცოტა კიდევ და, თვითონ სავლეს დააკრავდა ჭინჭარზე. სავლეს შეგ ირდიც ჰყავდა-ერთი მგალობელი და მკალობელი კახელი კაცი, იმერეთში ჩასიძებული, იმერეთში განაზებული, გაგეშენგენაცვლებული და გაგეშენიჭირიმებული, მწარე ხე ლი ჰქონდა დარჩენილი მხოლოდ-კახური, რომელიც იმერლებს აქომამდი ახსოვთ მად ლიერებს.

გამომძიებელთა ჯგუფს კიდევ ერთი ადამიანი ეკუთვნოდა, სამოცდაათ წელს გა დაცილებული მელანო, ბალანჩივაძის ქალი. მელანოს მუდამ ეძინა და პიტნის დამამშვიდებელი სუნი ასდიოდა. მელანო პირველი დაკითხვისათვის იყო განკუთვნილი, სადა ც ალერსი „შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე“, -ჭადო იყო საჭირო. ახლა კი მიმდინარეობდა მესამე, უკანასკნელი ხარისხის დაკითხვა და საქმიდან თავისუფალი მელანო მოხარშულ ჭინჭარს ტენიდა ინდაურს ყრონტში, ზამთრისთვის.

-ჰა, როგორა ხარ?-ჰკითხა კახელმა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ზუმპა დაარტყა ერთაოზს.

-ერთ ჩასიძებულს მაინც ვჯობივარ,-უპასუხა ერთაოზმა.

მაშინ, ოსტატი ფეხზე წარმოდგა, შეგირდი გვერდზე გასწია, ვედროდან ძმარში და ამბალი ბროწეულის წენელების კონა ამოიღო, მარილით შეკმაზა და ერთაოზს შიშველ საჭდომზე უცხუნა.

-ცოვა ხარ, შენ გენაცვალე,-შეიბრალა სავლემ ერთაოზი და მეორეჯერ უფრო მ წარედ დაარტყა. -თქვი, ბიჭო, ვინ დაგავალა?თ

ერთაოზმა თვალები გაახილა.

-გაიმარჯვა იმერეთის მეფეთა მეფემ, სოლომონმა, წახდა თათარი!-თქვა ტრუმევისაგან გამონიჭებულმა ერთაოზმა და თვალები დახუჭა.

ციხის ეზოში ხუტა ოდიშარია შემოჭენდა ბებერი ცხენით, რომელსაც უკბილო პირიდან ლაგამი უვარდებოდა, უკნიდან კი ქარებს უშვებდ.

-და არ უნდა მაგას ბევრი ლაპარაკი! ჩააგდეთ მესამეში!-განაკანონა კანონით ციხის უფროსმა, ერთაოზს გადახედა ჭენებით გაწითლებული თვალებით.

ერთაოზი მიწიდან აშალეს, ჭურის პირთან მიიყვანეს, ყელზე ნომერი(72) შეაბეს, ჭურს თავსახერი აპხადეს და შიგ ჩააგდეს.

ერთაოზმა ერთი კი მოასწრო ჭურის ფსკერზე წვერაბურგნილი მოხუცის დანახვა, და რიყის ჭვით მოკირწლულ ფსკერზე დავარდა.

ასე დამთავრდა მისი ცხოვრების ერთი -ბადაგივით ტკბილი ხანა და დაიწყო მეორე.

აქ უნდა დავემშვიდობოთ ერთაოზ ბრეგვაძეს, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა სხვა სოფლის ბიჭებისგან. მათსავით სიბნელეში იმყოფებოდა და ვერც კი წარმოედგინა, თუ რამე არსებობდა ამჭვეყანაზე გორების, ხეების, ორშიმროს, ძროხის და ვალების გარდა.

დავემშვიდობოთ ძველ ერთაოზ ბრეგვაძეს და მივესალმოთ ახალ ერთაოზ ბრეგვაძეს!

ერთაოზმა მიიჩედ-მოიჩედა, თვალი უკვე შესჩვეოდა სიბნელეს.

-რა წყალში ჩამიყარეს ყველაფერი,-ამოიხვნეშა გვერდით ვიღაცამ.

ერთაოზი ჩააკვირდა და სიბნელეში მორული ძონები და ბუნძგლები ამოიკითხა, „რაც ბეჭებზევით ბუნძგლებიაო, ალბათ სულ ყველაფერი თავიაო“-სწორედ მიხვდა ერთაოზი.

ეს ძონები გახლდათ ქრისტეფორე მგალობლიშვილი, სამოცდაათ წელს გნადაც ილებული ნასტუდენტარი ქართლელი კაცი. მუდამ ფიქრებში წასული ტუსალი, რომ ლის აქ მოყვანა აღარავის ახსოვდა. რას არ ამბობდნენ მასზე ჭურებში: თითქოს ოდეს ლაც, გორში თუ კასპში, შუში სქარხანა აეშენებინოს, თითქოს ხუთასი კვერცხის უკრუხოდ გამოჩეკვა სცოდნოდეს, იმასაც ამბობდნე, მეხის დაჭერა შეეძლო, მაგრამ, რატომ მოხვდა აქ, ეს კაციშვილმა არ იცოდა. და რატომ არ ისროდა ჭურიდან მეხებს, არვინ კითხულობდა. ხმაურიანი იყო, უბოროტო.

-რა მოხდა ასეთი, ბატონო?-ფრთხილად იკითხა ერთაოზმა და ჭურის კედელს მიეყუდა.

-თქვენი რა ბრალია,-თქვა მოხუცმა და ქუდში ჩაიხედა,-არაფრისთვის დაიღუპა.

-ვინ, ბატონო?-შეეკითხა ერთაოზი.

-ნემსიყლაპია,-მოხუცმა ქუდი ფრთხილად დადო კუთხეში.

„ეს გიუი, ნამეტანი ჭკვიანია“, -გაითიქრა ერთაოზმა.

უცებ რკინის თავსახურის ბრახუნი გაისმა და შავი დედალი ფსკერზე დაეცა.

-ეს არის ქათამი,-თქვა მოხუცმა და კურტუმოშეშინებული დედალი ხელში აიყვანა, განათებულ ადგილზე გაიტანა და ყურადღებით ჩააკვირდა. ხანდახან თრთას აუქნევდა, ხან თავს, ხან კუდს და თავისთვის ბუტბუტებდა, ერთაოზისთვის უცხოს და გაუგებარს.

-აბსოლუტური მდგრადობა და ნაკლებად გლუვობა მერცხალზედ დაბალი და, რა თქმა უნდა, მწერებზეც უმნიშვნელო... ცენტრის გადაწევით შეიძლება სიმძიმის გათანასწორება დინამიურ ძალთა უკუპროპორციით...

ერთი-ორჯერ დედალს ფრენაც შესთავაზა, შეათამაშა, შემდეგ ზედმეტი სიფრთხილით ძირს დაუშვა, ჯიბიდან თავმომწვარი ჩხირი ამოილო და წერას შეუდგა კედელზე.

ერთაოზმა ახლა შეამჩნია, რომ ჩურის მთელი შიგნეულობა გაუგებარი ნიშნები თ დაჩხაპნილი იყო.

თუ ამ მოთხრობას მკითხველი ეღირსა, სრ იქნება ზედმეტი, ქრისტეფორე მგალ ობლიშვილის გამოთვლების გახსენება, მით უმეტეს, რომ ეს ავიაციის გარიურაუს ეხება. უკვე შუაღამე იყო, როცა მეცნიერმა წერა მოათავა.

მოხუცი თავს დაადგა ერთაოზს.

-გთავაზობთ ჩემს პატივისცემას და მეგობრულად გართმევთ ხელს,-ჩამოართვა ხელი ერთაოზს.

შემდეგ ორივენი ფსკერზე მოკალათდნენ და ამგვარი საუბარი გამართეს.

-რით დაიმსახურეთ ხელისუფლების გულისწყრომა?-დაინტერესდა ქრისტეფორე ე.

-რა ბრძანე, ბიძია-ბაბუა?-ამნაირი ქართულისთვის ვერ იყო მზად ერთაოზი.

-რისთვის მოგოყვანეს აქ?

-კაცის ცოცხლად დამარხვას მაბრალებენ. ათი წელი უნდა იჯდეო.

,კი მაგრამ, რა მოხდა ასეთი, რამ გაიძულათ ასეთი უკიდურესი საშუალებისათვის მიგემართათ?

ერთაოზი ჩაფიქრდა და თქვა:

-ქალი შემიყვარდა ნამეტნავად.

-ეჭ, -ჩაიქნია ხელი მოხუცმა,-ესა ვართ ქართველები, ამ საპყრობილეში მიჯნურები და რასტრატჩიკები ვსხედვართ მხოლოდ, ანარქისტი მაინც იყვეს ვინმე, ან ჯიბის გირი სოციალისტი, არც ერთი მოაზროვნე, არც ერთი იდეისთვის თავდადებული.

-შენ, ბაბუა, რაზე ჩაგაყუდეს?-ფრთხილად ჰკითხა ერთაოზმა..

-ოდესლაც, ჩემს გულშიდაც გაიკვნესა ქნარმა ორთეოსისამ.

რაო?

-მეც შემიყვარდა ქალი ნამეტნავად“, -სევდიანად თქვა მოხუცმა და შუბლი კედელს მიადო.

-ოხ...-დაიწყო ქრისტეფორემ და ერთაოზი სმენად იქცა.

-არასოდეს დამავიწყდება გაზათხულის ის მშვენიერი დილათ. უენევიდან დაბრუნებული, მარტოდმარტო მივდიოდი ქუჩაში. ანაზღად დაჰქროლა ქარმა სასტიკმან. და ვინახედავინახე, რომ ჩემსკენ მოფრინავსთ ჩალის ქუდი მანდილოსნისა.თ დავიჭირე. გადავხედე არემარეს. ოხ... რა დავინახე!-ამოიოხრა მოხუცმა.

,რა დაინახე?!

-ჩემს წინ ბუნების უმშვენიერესი ქმნილება იდგა. მე მივხვდი, რომ ეს ის არის და ის მიხვდა, რომ მე მე ვარ... ანდამატისებრ მიმიზიდათ, მიმხადა მსწრაფლად ცნობანი მშვენიერებამ. თ ის დღე და ის ღამე, მთვარის შუქზე შემდგარმათ, თამუნია ყიფიან ის სარკმელთან გავატარე. გამთენისას ვიწრო სარკმელში ბროლის ხელი გამოჩნდა, რომელმაც ტუბეროზა გაღმომიგდო...თთ ჩვენ გადავწყვიტეთ, ჯვარი დაგვეწერა. თასპიროზის მამა განრისხდა და საცოდავი გოგონა მონასტერში დაამწყვდია. ვეახელი მას და ვთხოვე თამუნიას ხელი... „როგორ!“-მიყვირა გენერალმა,-„ჩემი ერთადერთი გოგონ

ა ვიღაც სუხარებით გამოტენილ ნასტუდენტარს გავაყოლო?! როგორ გამიბედე ეს!“ რა არიგ დიდი არ იყო ჩემი სიყვარული, მაინც ვერ მოვითმინე შეურაცხყოფა და სილა ვს ტკიცე გენერალს!

ამის შემდეგ შეყვარებული გაუსამართლებიათ, მოსამართლეს, თავად ფალავან დოვს, მისთვის სამი წელი მიუსჭია. „ახ, შე მაწანწალავ!“-შეჰყვირა თურმე მაშინ სტუ დენტმა და სტაცა ხელი ფალავანდოვს. კვლავ გაასამართლეს, ამჯერად მოსამართლის შეურაცხყოფისათვის. მოსამართლე ლავაშოვმა იმ სამ წელს ხუთი წელი დაუმატა და რაღგან სტუდენტს, სასამართლოზე ხელ-ფეხ დაბორკილს, მეტი ვერაფერი მოუხერ ხებია, თავი უთააზებია მოსამართლისათვის სახეში. ისევ გაასამართლეს. კიდევ ხუთი წელი მიუმატეს ლავაშოვის შეურაცხყოფისათვის „აპ, შე იშკილბაზო“-ისევ გაისმა შე ყვარებულის ხმა.

-ერთის ლექსით, თვრამეტი წელი დავაგროვე. ოხ, რა მოულოდნელად ჩამოჰკრა უბედურების ზარმა! თამუნიას, სიყვარულის ფონზე ტუბერკულოზი განუვითარდა. კონსილიუმი კონსილიუმს მოსდევდა, სურამი, ნიცა, კუმისი! ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა. მისი უკანასკნელი თხოვნა ჩემი ხილვა იყო. ცოცხალს ვერ მიყუსწარი... სევდიანი ღიმილი ამშვენებდა მის ნაწამებ სახეს... მისთვის შევიქმენ ცრემლთა ფონები! უკანასკნელი სიტყვები ქცევამზიანის, სხივცემულისა ყოფილა: „შენ, მხოლოდ შენ“...

თურმე, ნუ იტყვით, მოხუცი ხშირად ახერხებს აქედან გაპარვას სატრაფოს საფლავის სანახავად და უბედურს ყოველთვის სასაფლაოზე იჭერენ. მოჰყავთ საპყრობილ ეში და მოსახდელ წლებს უმატებენ. ის კი ისევ გარბის, კაციშვილი მისი დამკავებელი არ არის თურმე.

-ეხ, თამუნია!-თავი ჩაქინდრა მოხუცმა.

ერთაოზმა ვერ გაუძლო ამ სევდიანი სიყვარულის ამბავს და თვალები აუცრემლდა.თ

-ადრე თუ გვიან,-დარწმუნებით თქვა ბერიკაცმა,- მე ავაგებ ცათმფრენს, სახელ ად „თამუნია“-ს ვუწოდებ და გადავუფრენ საყვარლის საფლავს! თქვენ ხომ გჯერათ, რომ ადამიანი უნდა გაფრინდეს?

ერთაოზი ამ სიტყვების გაგონებაზე შეკრთა.

-ისთე არ გამიგო, ჭერ მასეთ რაღაცებზე არ მითიქრია...-დაიწყო ფრთხილად ერთაოზმა.-არ მეცალა... ვალები დამრჩა... ღორის თავი, ჩითი... ვარიები... ისე, ღმერთი თუ მოინდომებს, მაშინ ვინ დაუდგება წინ? გაფრინდება...

-ღმერთს? სჩანს, ღმერთს სურს, დიდებულს, ადამიანმა რომ იფრინოს ცაში, თორემ კაცს ეს არც მოუვიდოდა თავში. აბა, მიპასუხუ, რით განსხვავდება პლატონის აზრით, ადამიანი ფრინველისაგან?

ერთაოზმა ვერ დაახვედრა ამ კითხვას მომზადებული ჭკუა და დამნაშავედ გაიღიმა.

-მხოლოდ და მხოლოდ ფრთ...-მოსთხოვა მოხუცმა ერთაოზს სიტყვის გაგრძელება

-ფრთ....გაიმეორა ერთაოზმა.

-ფრთე...-ერთი ასო გაიმეტა მოხუცმა.

-ფრთე...-მორჩილად გაჰყვა ერთაოზი.

,ფრთებით.-შეაგსო სიტყვა მოხუცმა. ფრთებით!-მიხვდა ერთაოზი.

-ყოჩაღ!-მოეწონა მოხუცს.-კიდევ რა არის საჭირო, ფრთებს გარდა? ერთაოზი სდუმდა.

-ძრა...-უკარნახა მოხუცმა.

-ძრა...-გაიმეორა ერთაოზმა.

-ძრავა!

-ძრავა!

-სწორია! ძრავა ექვსკაკუნიანი,-მოხუცმა ხელით მოანიშნა კედელზე ამოკაწრულ ლი უცნაური საგანი,-აი, ძრავა, აი, ფფრთები. მოხუცი კედელთან მივიდა, სადაც ძრავ ა იყო გამოსახული და მისი მუშაობის ტაქტის საჩვენებლად კაკუნი დაიწყო.

ძრავა რიტმული აღმოჩნდა, შემდეგ კაკუნი ბუტბუტში გადავიდა, ერთაოზისთვის თითქმის გაუგებარში და საწყალი ძუყნურელი ყმაწვილი ბუტბუტმა და კაკუნმა ძილში გადაუშვა.

დილას ერთაოზს გაახსენდა წუხანდელი ნალაპარაკევი და ფრთხილად ჰკითხა ქრისტეფორეს, რომელიც უკვე ამდგარიყო და მუშაობა დაეწყო:

-ამ ექვსკაკუნიანით ერთი ქალის მოტაცება თუ შეიძლება?

-მოვიტაცებთ, მოვიტაცებთ თქვენს სატრფოს,-დაპარიდა მეცნიერი.

-ჩვენს სოფლამდე თუ მივაწევთ?

-თუ თქვენს სოფელს ვერ გავცდით, მაშინ აღარც ღირს ამაზე მუშაობა. დაივიწყეთ თქვენი სოფელი, ორლობები, ღელები! ქვეყანა დიდია!

-მამაჩემის ვალები დამრჩა, უნდა გავისტუმრო...

უცებ სახურავი აიხადა და ჭერში გრძელტარიანი თაგვისარას სარეცხელი ჩამოეშვა. ერთაოზმა ზევით აიხედა.

-ეხლა ვინაა ცოცხლად დამარხული, მე თუ შენ?-სიცილით იკითხა ოდიშარიამ და სარეცხელით კედლების წმენდა დაიწყო. მოხუცის ნაკაწრ-ნაფიქრალი თვალდათვა ლ ქრებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მორჩა ხუტა თავის შავბნელ საქმეს და დამცინავ ად გაულიმა ტუსაღებს.

-აქ ვერ წაშლი,-წყნარად უპასუხა ამ ღიიმლს ქრისტეფორემთთთდა თითი შუბლზე მიიდო.

როცა თავსახური ადგილს დაუბრუნდა, აღდგენით სამუშაოს შეუდგა. ერთ ადგილას მოხუცი ჩაფიქრდა, ერთაოზი წაეხმარა:

-აქ ჭია რო დეიკლაკნება თოხის პირზე, ისეთი რაღაცა იყო.

-ო, ალფა!-გაუხარდა მოხუცს.

-რამდენი წელი დაგრჩა, ბიძია-ბაბუა?-ჰკითხა ერთაოზმა.

-ას ოცდა სამი,-არხეინად უპასუხა მოხუცმა.

-ას ოცდა სამი,-გაფუჭდა ერთაოზი, რომელიც ამ მოხუცთან დამეგობრებაზე დიდ იმედებს ამყარებდა.

-აკი აგიხსენით, ყმაწვილო, ყოველ გაქცევაზე ათ-ათ წელს მიატებდნენ მეთქი. ეს მათი ვალია, მათი სამუშაო. ამითი არჩენენ ისინი ოჯახებს!

-კი მაგრამ, ერთ გაქცევას კიდევ ვერ მოახერხებთ?-დაინტერესდა ერთაოზი. „ეს წავიდეს თავის საყვარლის საფლავზე, მე ჩემს მარგალიტას მოვიტაცებ, ახალციხეში გადავიკარგები, ეგება თათრობა ვიშოვოო“, -ფიქრობდა იგი.

-გაქცევაზე იოლი რაა?-თქვა მოხუცმა, გამოთვლებს თავი დაანება და ჭურის წელიდან მოზრდილი ნატეხი ამოაძრო. გამოჩნდა საკმაოდ ფართო ხვრელი.-აი, ამ გვირ აბით, როცა გვინდა, მაშინ გავალთ.

ერთაოზმა არც აცივა, და არც აცხელა, პირდპირ ტუცა თავი ხვრელში. მოხუცმა მოასწრო, ფეხებში წაევლო ხელი.

-რას სჩადიხართ, ყმაწვილო! გინდა დაღუპოთ იდეა? ამაზე მყუდრო ადგილს სამუშაოდ სად ნახავთ?! გამოთვლები ჯერ არ დაგვიმთავრებია. გარეთ კი აუცილებლად დაგვიჭერერნ. მერედა, არ იცით ქართველების ამბავი? შურით ღვინოში ამოგვახრჩობ ენ, თავზე გადაგვყვებიან. ერთადერთი ადგილი ესაა, სადაც შეიძლებარამე მოიფიქრო ადამიანმა.

ეზოში ხუტა ადიშარიას წალები, მედლები, დეზები და ოქროს კბილები ახმაურ დნენ

-თქვენ ნუ ღელავთ, ყმაწვილო,-აწყნარებდა-აწყნარებდა ერთაოზს ქრისტეფორე ე, +ჩვენ რომ აქედან გავიჭცევით, ცათმფრენს ავაგებთ და თქვენს სატრფოს მოვიტაცებთ, ეს ისევე უეჭველია, როგორც ორჯერ ორი... მოხუცმა ერთაოზს გაუგებრობა შეატყო.

--ორჯერ ორი უდრის რამდენს?-ფრთხილად ჰკითხა ბერიკაცმავ ერთაოზს.

ერთაოზი უიმედოდ დუმდა.

-ო...-უკარნახა მო მოხუცმა.

-ვორი,-უპასუხა ერთაოზმა.

ქრისტეფორეს წარბები გაექცა და თვალები მტკაველზე დაშორდა ერთმანეთს.

-არა, ასეთი ცოდნით ცაში კი არა, მიწაზე ვერ გაივლის კაცი. ქრისტეფორემ ჯიბიდან თავმომწვარი ჩხირი ამოიღო და კედელზე დაწერა:

2X2+4

-მაშ, შევუდგეთ მეცნიერებას,-თქვა ქრისტეფორემ და ერთაოზიც ნელა დაიძრა სიბნელიდან სინათლისაკენ.

.....

5) ერთხელაც, მეორე თვე მთავრდებოდა ერთაოზის ციხეში ყოფნისა, რომ ქრისტეფორემ შუბლზე მიირტყა ხელი და ერთაოზს მიუბრუნდა:

-დროა, გავიცნოთ ერთმანეთი, ქრისტეფორე მგალობლიშვილი, გარიყულელი, მაშლიანთ უბნიდან! თქვენი სახელი?

-ერთაოზ ბრეგვაძე, ქუყნურელი, მიზანას შვილი,-უცებ უპასუხა ერთაოზმა და წერა განაგრძო.

დილიდან ერთაოზი მძიმე ამოცანას აკლავდა თავს:  
632+

ახლაც იდგა ამოცანის წინ ჩაფიქრებული.

-ვირი, შე უპატრონო, ვორი!-ჭურის თავში ხუტა ოდიშარიას თავი იყო გაჩერი ლი-ვორჯერ ვორი გუშინ, იმის წინ თუ გამოდის ვოთხი, აქაც, მაქაც, მამაჩემის მამასთ ანაც და თუ ვორჯერ რვას, ხვალაც რვას!-არ მომშალა კაცი 1-მაინც რატომ ექვსიანი?!

-ფეხები ხოა ვორი? -იკითხა ერთაოზმა

-მერე?

-მერე ფეხებშუა ხომ გიკიდია კიდე ვორი?

-აბა რა!

-ესეც ვოთხი. მერე ხო გიკიდია იმ ვორში ერთი რაღაცა?

-ნუ?, ხუთი.

-მერე შენ თავს არ ანგარიშობ-შენ რითი ხარ იმაზე ნაკლებიერთით რაც მატებ ვორს.

ერთაოზმა ხუტას ჯიბრზე სამიანი დაწერა, მაგრამ ჭურში შემოსულმა, სარზე წ ამოცმულმა სარეცხელმა ჭეშმარიტება წაშალა.

-აქედან ვერ წაშლი!-მტკიცედ უთხრა ციხის უფროსს ახალგაზრდა მეცნიერმა და შუბლზე დაირტყა ხელი.

...

წელი წელს მისდევდა, ხან თოვლის ფიფქები შემოჰკონდა ქარს, ხან-ატმის ყვავ ილები. მიზანას შვილი მეცნიერებას ეუფლებოდა. ციხის უფროსი არ ივიწყებდა მეგო ბრებს, დროდადრო შლიდა ნაწერებს კედლიდან და სიცილით იგუდებოდა.

-გავიქცეთ, აღარ შემიძლია მეტი, -აღმოხდა ერთაოზს ერთხელ, გაზაფხულის პი რზე, -მოვკალი ქალი ლოდინით.

-დაწყნარდი, შვილო, დაწყნარდი.-რაღა დარჩა, მთის სიბრტყის პლანერული დი ნება...

ამის შემდეგ კიდევ ერთი გაზაფხული დადგა, კიდევ ერთხელ ჩაბრუნდა თესლი მიწაში, კიდევ ერთხელ გახეთქა ბუდე მარცვალმა და ბარტყები ამოყარა, კიდევ ერთხ ელ გასცვივდა ხეს თეთრი ყვავილი, შიგ ვაშლი ჩაისახა და გამოინასკვა. გაწვიმდა, გამ ოდარა. აჩქარდა ბალახი, ქვეყანა დამშვენდა, მწვანით დაიფარა.

-ესაა, ეს!-შემოსახა ძილში იმ დილით ერთაოზმა და ცოდნიანი თავი დაუშინა კედელს.

-მაშ, გამოდის, ჩვენ უკვე ჰაერში ვართ!-იყვირა ქრისტეფორემ.

-როდის გავიქცეთ?

-ეხლავე, ამ წუთში!

-მოვემზადოთ, აბა?

-რა გაქვს მოსამზადებელი, თუ რამე გაგვაჩნია, ყველაფერი აქაა, -მოხუცმა შუბ

ლზე დაარტყა ხელი.

-აბა, ამოვიღებ ამას!

ერთაოზმა ჭურის ნატეხი გამოიღო კედლიდან და იატაკზე დადო.

-დროზე ვუშველოთ თავს,-დაფაცურდა მოხუცი,-იქ, გვირაბის ბოლოს, ერთი არ შინი მიწა დარჩა გასათხრელი , მერე ქვა იგრძნობა, გავანგრევთ იმასაც და გარეთ ვიქ ნებით.

--არა, ერთაოზ, იქ ორი კაცი ვერ ეტევა, ხომ იცი. თქვენ ორიათას ხუთასამდე დაითვალეთ და მერე გამომყევით. ნუ მოიწყენთ, კოლეგა!

ერთაოზმა დადაიწყო თვლა:

-ერთი, ვორი, სამი, ოთხი...

--...ათას ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი...-მეტს ვერ გაუძლო ერთაოზმა, ხელი ჩაი ქნიადა პირდპირ დააყოლა: ორიათასხუთასი!

პირჯვარი გადაიწერა, დედალი ხვრელში შეაგდო და მიჰყვა. ერთაოზის ფეხისგულები ჯერ კიდევ არ მიმალულიყო, რომ ჭურში , ერთ ადგილას ნატეხი ამოპირქვავდა.

გამოჩნდა თმაწვერ გაბურდგნული ქრისტეფორეს თავი, რომლის გაბადრული სახე თავისუფლებას ესალმებოდა.

ჭურის დანახვაზე ღიმილმა მიატოვა ქრისტეფორეს სახე.

-შეუძლებელია!-ჩაილაპარაკა თავისთვის და საკანში შებრუნშემოძვრა, მერე მერე უბიდან ნახშირი ამოიღო, და გამოთვლას შეუდგა.

ერთაოზი დედალთან ერთად მიხოხავდა გვირაბში...

-ასე,-ჩურჩულებდა მოხუცი თავისთვის,-ორმოცდახუთი გრადუსი, შემდეგ 12გრ ადუსი სამხრეთ-აღმოსავლეთით, პლუს-მინუს ეპსილონ ზეტა, დეტა, პიუ 9 გრადუსი, ომეგა...

ხვრელიდან ერთაოზის ხმა მოესმა:

-სინათლეს ვხედაკ! ავშენდით! ღმერთო, დიდება შენ!

ქრისტეფორემ გამოთვლები დააჩქარა.

-შვიდი მინუს-პლუს დუბლ რადიანი... სწორია ყველაფერი, მისხალი შეცდომა არ არის,-კმაყოფილად დაასკვნა მოხუცმა,-თხუთმეტი ვერსით ვართ დაშორებული ქალაქს და მაღალს მთაზედ ვიმყოფებით.

ქრისტეფორე შემობრუნდა, ხვრელში ერთაოზის გაოცებული სახე დაინახა. მოხუცმა მხრები აიჩეჩა და თავის გასამართლებლად გამოთვლაზე მიუთითა.

-ჩვენ ტყეში ვართ,-თქვა ქრისტეფორემ.

ერთაოზმა მწარე ღიმილით შეათვალიერა საკანი.

-პარადოქს!-შეეცადა თავის გამართლებას ქრისტეფორე.

ერთაოზი ხვრელიდან გამოძვრა, გამოთვლებს დააკვირდა:

-რა უნდა აქ დუბლ ვეს?-შეეკითხა მოსწავლე მასწავლებელს.

ქრისტეფორე ჩაფიქრდა.

-ეე,-ამოიხრა ერთაოზმა.

ათ წუთში ერთაოზი სანეტაროს გულში ჩაიკრავდა. შემდეგ ერთაოზი, მარგალი

ტა და ქრისტეფორე სადმე შორს ააგებდნენ ცადმთვრენს და...

ერთაოზმა აიხედა, ცა იყო სუფთა, სუფთა. მაღლა ნელა დაფრინავდა არწივი, თ ავისუფალი და ბედნიერი, გვერდით დედალი არწივი დაყვებოდა, ქმარს წინ უშვებდა მოსახვევში

-ვაიმე, ჩემო მარგალიტა!-აღმოხდა ერთაოზს და ზევით აწეული მუშტები ჭური ს კედელს დაარტყა. გაისმა გრუხუნი, კენდელი გაინგრა და მთები გამოჩნდა.-მოგესა ლმები, ტურთა იმერეთო!-ქრისტეფორემ აღტაცებით წარმოსთქვა.

-მაგი მერე, მერე...-დააჩქარა ქართლელი იმერელმა.

გზა სატრაფოსაკენ თავისუფთალი იყო!

ნიაღვარს იმდენი ედინა, რომ ჭურისათვის ცალი მხრიდან მიწა გამოეცალა და ჭური სანახევროდ თავისუფლად ეკიდა ჰაერში.

ჯერ ერთაოზი გაღმოხტა, მას ქრისტეფორე მიპყვა, ბოლოს დედალმაც დატოვა საპატიმრო. მალე ლტოლვილებმა სიმინდის ყანას შეაფარეს თავი, სული მოითქვეს, ღ ელე დგაფუნით გადალახეს და თხილნარს შეერივნენ.

ქრისტეფორე წინ მირბოდა. სასაფლაოს გზა კარგად იცოდა. დაღამებისას მივი წყებულ სასაფლაოს მიადგნენ. იქაურობას სევდა დაუფლებოდა. ქრისტეფორემ მუხლ ი მოიყარა და ათრთოლებული ხმით წარმოსთქვა:

-დაე, დაიმსხვრეს ქნარი, ჰანგი მუდამუამს იმღერებს, თამუნი...

ორი ალმასი მოწყდა ქრისტეფორეს თვალებს, ჩაიარა დამჭკნარი ლოყები და თ ეთრ წვერებში დაიმალა. იყო ამის გამძლე ერთაოზი?

არა! არ იყო ამის გამძლე ერთაოზი. ყმაწვილს ცრემლი წასკდა, ვიღაცის ჭვარს ჩამოეკიდა და მწარედ ატირდა.

-ერთაოზ, შვილო!-ფეხზე წამოდგა ქრისტეფორე.-უნდა ვიჩქაროთ, ის თავსივა, რა თქმა უნდა, აქ მოვა!

ერთაოზი წამოხტა, გრძელი ფეხები გაშალა და ქალაქისაკენ დაეშვა, სადაც ერ თ პატარა სახლში ერთი მშვენიერი ქალი ეგულებოდა.

8)

სწორედ ამ დროს მარგალიტას სახლში სტუმრად იმყოფებოდანეო-ნერვო-კლინ იკის გამგე ექიმი ნოშრევან კუჭუხიძე. რა მოსაკითხი არ მოეტანა ნოშრევანს-ქინიქინა , სტრიქნინი, ევკალიპტის ფოთოლი, მაშინ იშვიათი ჩვენში და ძნელად საშოვნი, თბი ლი წყლის ბალიში, პულვერიზატორი-ესეც ახალ რამ მაშინდელ დროებაში, წყალტუ ბომს წურბელები, გუმბრინის თავსაბანი მიწა და ასე შემდეგ.

ნოშრევანი ,რომ იტყვიან, ნასვამი, შეიძლება ითქვას, ნაყაფიც გახლდათ. მარგა ლიტას დაშაქრული ალუბალი გამოეტანა ექიმისათვის ბოთლით.

-ოო... თავი მაინც აგტკივდებოდეთ,-ნატვრით ამბობდა ექიმი და ფეხზე წამოცმ ული ჭაგრისით დანავთულ იატაკს აპრიალებდა, როგორც ეშხში შესულიციხის უფრო სი, იმ დაუვიწყარ ღამეს.-ან წელი აგტკივდებოდეთ, ან ელენთა,-სევდის სახლი! ან კვი

რიკეს ძვალი-სილიციუმ-იტაკუს, ან ტიფი...ვარდის წყალი, ტირიფის ფოთოლი, ია-ლ ულუფარი, სანდალი და შამბალილა,ვაშლი და მსხალინაჭყლეტი თავზე წაგისვათ, შე ცხებით!

-ჩემს მტერს,...-მარგალიტა პირჯვარრს იწერდა და ბოთლიდან ქვიშნას უყრიდა სტუმარს.

-მომბეზრდა ქურდული სიყვარული! ან რევმატიზმმა მოგკრუნჩხოს, ან იშიასმა დაგკეცოს...-ნატრობდა ალუბლით მთვრალი კუჭუხიძე.

-რას მერჩი, დოხტურო, ერთი უქორწილოდ მოყვანილი ქალი ვარ..

-წაგიყვანგდით ჩემთან, კლინიკაში, დაგაწვენდით კარანტინში, გიმკურნალებდი თ...-ნოშრევანივნებამ ააცახცახა,-ან მორიელმ გიყბინოთ, ან ძალლმა,გაცივდით მაინც, სანეტარო! მოდი, ნუ გადავდებთ, გაშიშვლდი, დავაღოთ ფანჯრები! დაპბერს ფილტვებში ქარმა, დაგჭვალოს! ეს გამოიწვევს გართულებებს, ხიხინს, სიცხეს.

-აღმა წყალს, დაღმა ქარს,-მარგალიტა უკან ითურთხებოდა,-ჩემ მტერს-ხიხინი, მე-ოქროს ურიკა.

უცებ ვიღაცამ მომთხოვნად დააკაკუნა კარზე.

-ვიქტორინა გაიგებს!-რიკივით დატრიალდა ექიმი.

-რა ვუთხრა ტრიფონს?

-როსკიბო!-წაისისინა გველივით ექიმმა და სკივრისაკენ გაქანდა.

-არა, არა,-წინ მარგალიტა გადაეღობა,-მაგაში ვერ ჩაეტევი.

ნოშრევანმა მიიხედ-მოიხედა.

,დამინგრიე, ხომ ოჯახი?!აქ დარჩაო, იქ დარჩაო! ვაი!

-ვაი და სიკვდილი შენ!-მარგალიტამ წავლო კისერი ხელი და ბუხარში შეაყოფინა თავი.

-მიდი, შეძვერი შიგ!-და ნაკვერჩლებში სკამი ჩადგა.

-მთელი ქალაქი გაიგებს!

კაკუნი გრძელდებოდა.

-რა მოგივიდა, ტრიფონ, ხომ ხედავ, ვაღებ!

მარგალიტა კართან მივიდა, აგრუხუნდა ურდული, კარი გაიღო და ერთაოზის ა ბურძგნილი თავი გამოჩნდა.

-დაე, დაიმსხვრეს ქნარი, ჰანგი მუდამ იუღერებს, მარგალიტა!-ერთაოზი ოთახში შემოიჭრა.

-ახლა მიტირეთ რუსულად!-წაიჩურჩულა მარგალიტამ.

-ვერ მიცანი? ერთაოზი ვარ!-ხელები გაშალა ლტოლვილმა,-შენი ერთაოზი!

-გავიდა მერე ათი წელი?-შიშით იკითხა მარგალიტამ.

-ვერ გავუძელი უშენობას, გამოვიქეცი, ვარსკვლავო!

-გამეიქეცი და ჩემთან მოდი? დაბრუნდი უკან, დაბრუენნდი უკან! თვარა ყველა ს გაგვაციმბირებენ! მეც, შენც, ტრიფონს რას ერჩი, უბედურს?!

-დაწყნარდით, ქალბატონო,-გაისმა ქრისტეფორეს კარგად დაყენებული ხმა და მარგალიტას წინ ძონძებში გამოწყობილი მოხუცი მეცნიერი წარდგა.

„აუ, ამას ტილები ეყოლება ცოცხით სახვეტი“, -გაიფიქრა მარგალიტამ და უკან უკან წაბარბაცდა.

-ვინაა, ბიჭო, ეს? -ჩამქრალი ხმით იკითხა ქალმა.

-ჭკუოსანი, -სიამაყით უპასუხა ერთაოზმა.

-ერთაოზის სიყვარულის მატარებელი, როგორც იქნა, თქვენს სადგურზე ჩამოდ გა, -ლამაზად თქვა ქრისტეფორემ, ნახევდად გულწასული ქალის ფუნთუშა ხელს ეამბ ორა და განაგრძო, -ბევრი მსმენია თქვენზედ, თქვენ კი მოლოდინს გადააჭარბეთ.

-საწყალო ტრიფონია-წაიჩურჩულა მარგალიტამ-ვინ დაგასხამს თავზე წყალს, ვინ წაგისვამს ზურგზე საპონს? ვინ გიტირებს?

-აბა, მოკრიფე, თუ რამე გაქვს სამახსოვრო და გევიქცეთ ჩქარა აქედან შორს. -შეუდგა საქმეს ერთაოზი.

-შორს? -გული შეულონდა მარგალიტას.

-ერთი რაღაცა მევიგონეთ, გადირევა მთელი ქვეყანა.

-ხომაა ეს ქათამი? -დაანახა ციხეში დაბერებული შავი დედალი ერთაოზმა.

-ქათამი-აუცრემლდა თვალები მარგალიტას

-ცათმფრენი, -განმარტა ქრისტეფორემ, -შიდაწვის.

-ხომ ფრინავს ეს?

მარგალიტამ დაუკრა თავი, წამწამებზე ბროლის წვეთები აციმციმდნენ.

-ჩვენც ისეთი რამე მოვიგონეთ, თავისით იფრინოს, მერე დავჭდებით ზედ: მე, შენ, ქრისტეფორე და ვიფრენთ და ვიფრენთ...

1) ამ დროს ბუხარში გრუხუნი გაისმა და ოთახში ჭვარტლის და ნაცრის ღრუბელი გამოვარდა, ღრუბლიდან ნოშრევან კუჭუხიძე გამოხტა შინდისფერი საკვოიაჟით ხელში. გამურულ ცხვირზე პენსნე ცანცარებდა.

-ნოშრევან, შენი ჭირიმე, -დაუსხლტა ერთაოზს მარგალიტა და ექიმს ჩაეხუტა, -შენი ხალხი ჩანს... შიგნიდან შემწვარი ქათამიო, ფრინავსო.

-მაცალე, -ჩუმად უთხრა მარგალიტას ნოშრევანმა, -მაგათი პროფესორი მე ვარ, -ნოშრევანიქრისტეფორესკენ წავიდა.

ვინაა ეს? -ეჭვით იკითხა ერთაოზმა.

-ძმობილია, იმნაირი არ გეგონო!

-ნოშრევან კუჭუხიძე, -წარუდგა ავიატორებს ფსიქიატრი, -მე ექიმი გახლავართ, ქალბატონ მარგალიტას ბუხარი გაეჭვარტლა და გამომიძახა. ასე, ამგვარად და ასეუნ ებლიერ თქვენი დიდი იდეის მესაიდუმლე გავხდი. რა საინტერესოა, რა რიგ პატივს ვცემ საღ აზრებს. ვიფრინოთ ცის კაბადონზე!

-თქვენ გჭერათ ჩვენი იდეის? -რამდენი ათეული წელია არ ენახა ქრისტეფორეს ინტელიგენტურად გამოწყობილი ადამიანი.

-რა თქმა უნდა! აღტაცებული ვარ! მე ერთი წუთით დაგტოვებთ, სამოსს გამოვიცვლი. დამეთანხმეთ, ასეთ მდგომარეობაშიგარეგნობაში მიჭირს თქვენთან საუბრის გაგრძელება. ახლავე გეახლებით. -ნოშრევანი ფრთხილად დაი; ძრა კარებისაკენ.

-შეხედეთ, მიდის. -დააბეზღა მეგობარი მარგალიტამ.

,სად მიღის? -იკითხა ერთაოზმა.

-ძვირფასო ერთაოზ, მე ეხლავე დავბრუნდები. ეგებ გამოგადგეთ კიდევაც რამეში. არსად წახვიდეთ, ვისაუბროთ. -ამ სიტყვებით ექიმი გარეთ გავარდა. -უადი-ჰინდი, ა მბარი და შინდი!

უბედური მარგალიტა კი ლტოლვილებთან დარჩა პირისპირ უიმედოდ.

ჭიშკარში გამურულ ექიმს ტრიფონი შეხვდა. ზმის ზურგზე ორი დიდი ტომარა სუნთქვდა.

-აჯათსანდალი მოხრაკული საჭმელია, რომელიც მზადდება ბადლიჯანისა, ოქრო ვაშლისა, ანუ პამიდორისა, ანუ კართოფვილისაგან, -რომ არ დავიწყებოდა, იმეორებდა ა ტრიფონი შირაზის შავი ცის ქვეშ ნასწავლს-გაგონილს.

-დაბრუნდით, ტრიფონ? -უთხრა გამურულმა ექიმმა, რომელსაც ტრიფონი კი ა რა, ღვიძლი ძმა ვერ იცნობდა, -თქვენთან სტუმრებია, ფასდაუდებელნი! ძვირფასნი! ა რსად გაუშვათ, მე ახლავე გეახლებით, ხალხს მოვიყვან, ორი ქართული ფენომენი, -და ჰპირდა ექიმი ობერკონდუქტორს და გაიქცა.

-რომელი ხარ? -დაუძახა ტრიფონმა და ერთხანს უყურა უცნაურ კაცს.

ჩემს მოსვლამდე ნუ მოიწყენთ, -უკანმოუხედავად დაიძახა ექიმმა და ქუთხეს მიეფარა.

ტრიფონმა ტომრები ალადგინა ზურგზე და სახლისაკენ წავიდა.

-აჯათსანდალი მოხრაკული... -იმეორებდა თავისთვის ობერი, როდესაც კარი შეაღო და სახლში შევიდა.

-ტრიფონ! სიხარულით შეჰქივლა მარგალიტამ, ქმარს მივარდა და კისერზე ჩამოეკიდა.

ტრიფონი მორცხვი კაცი იყო, საჯაროდ ცოლთან ალერსს ერიდებოდა, თანაც, დრო იყო უკულტურო.

-მოიცა, ქალო, სირცხვილია. სტუმრები გვყოლია. ახლა ერთი შემხვდა, შავი. იმ ან მითხრა, კიდო მოვიყვან ხალხსო. არ შევრცხვეთ, დაბრძანდით, თქვენი ჭირიმე. -ტრიფონმა ტომრები იატაკზე დაუშვა, უბიდან მოზრდილი ქვა ამოიღო, მეუღლეს გადას ცა და ჩუმად უთხრა:

-მოლა ვნახე. ამ ქვას აკოცოსო, მერე დაწექით ერთადო და ბიჭი გეყოლებათო, სამუილი დაარქვითო...

ტრიფონმა ხელზე დაიფურთხა, თავზე გადაისვა, მაგიდას მიუჭდა და სტუმრებს მიმართა;

-ახლა, ის, რო ვთქვათ ჩვენე, ელიტოპოლშიიმისთანა ქაშა-კარტოფილია, გადირევი კაცი, შაური-ბათმანი, ბათმანი აქულა ბრინჯი-აბაზნახევარი. აბაზნახევარს თუ ორშაურს მიუმატებთ, მაშინ სამ შაურს რჩება მოგებაში. ოჯახი ხრამია, ვერ ამოვავსებ. ბოშო, გამეიტანე, თუ რამე გაქვს: პურუკა, ღვინუკა, დააწყვე სტოლუკაზე.

-დიდად გმადლობთ, -დაუკრა თავი ქრისტეფორემ, -ჩვენ ძალიან გვეჩარება, გამთენიამდე უნდა დავსტოვოთ გუბერნია.

-არმინდა ფრენა,-წაიკვნესა მარგალიტამ.

-გვაცალე, ქალო, გევიგოთ, რაშია საქმე,-დარბაისლურად თქვა ტრიფონმა და აქამდე თავაუღებელმა პირველად შეათვალიერა სტუმრები. „ორი ყოფილა“, -სწორად შეაჭამა ტრიფონმა სტუმრების ფეხები და ასევე სწორად გაყო ორზე.

-ბიძია, ერთაოზი მქვია მე. მე და მარგალიტა შვიდი წელია ვირევით ერთმანეთი სთვის. წევიყვან ამას, ბიძია!

-არ მინდა არ მინდა მეტი გათხოვება!

ტრიფონი მეუღლეს მიუბრუნდა:

-კაი მოგცეს ღმერთმა, მაგრამ გევიგო მაინც, რა უნდა ამ პატიოსან ხალხს.

-მე მოგახსენებთ, -აიღო სიტყვა ქრისტეფორემ, -თქვენ ეხლა დაღლილი ბრძანედ ებით. ძნელია, რა თქმა უნდა, შეეღიოთ ქალს, რომელზეც ამაგი გაქვთ გაწეული. მაგრამ რას იზამთ, დალოცვილ ღმერთს ასე დაუწესებიათ, ქალი უნდა გათხოვდეს, კაცი უნდა დაცოლშვილდეს. ერთაოზი და მარგალიტა ბედნიერნი იქნებიან. გული მიგრძნობს, ვაჟი ეყოლებათ, ტრიფონს დავარქმევთ.

-ნუ მეტყვი უარს, ბიძია, კუბოს ფიცრამდე მეხსომება შენი პატივისცემა!-დაეღრიჯა ერთაოზი.

-ქალბატონი მარგალიტა იტანჯება. მოგეხსენებათ: ნემსის ნუგეში ძაფია. თქვენ ჩამობრძანდებით ჩვენთან, ჩვენც გესტუმრებით, შექმნიან ტკბილ ოჯახს, დავსხდებით, ვიტიტინებთ, ოჯახში სიმხიარულე უნდა სუფევდეს, ჩონგურის დაკვრა.

ტრიფონის ტვინის კარმა გაიჭრიალა და ქრისტეფორეს სიტყვები ნელა შელაგდა შიგნი-სუფთა ზალაში.

-მაშასადამე, -ტრიფონი ფეხზე წამოდგა, ჯიბიდან ვერცხლის საათი ამოილო და ლოყის ქვეშ შეინახა, ტომარას ხელი მოჰკიდა და განაგრძო აზროვნება:

-მაშასადამე, ეს ვათერპასი ჩემი ცოლის ქმარი ყოფილა და მე ჩემი სიძის სიძე, ეს ეს ვათერპასი კი ჩემი სიძის მძახალი და მე მაგის მძახლის ახლობელი? ვიაროთ ღვინო-ღორებითო...

ტომარამ სისწრაფე მიიღო.

-კი მარა, ის შავი შავი ვინ იყო? ახსენდებოდა ტრიალის დროს ტრიფონს ნოშრევანი. ტრიფონმა ტომარას ხელი გაუშვა.

ტომარამ ოთახი გადაიფრინა, თავში მოხვდა ქრისტეფორეს და ყუმბარასავით გასკდა.

ატყდა ჩხუბი.

და სად არის ამ დროს ხუტა ოდიშარია?

ხუტა ოდიშარია ამ დროს თავისი რაზმით მარგალიტა ამყოლაძის სახლისკენ მოქრის.

და სად არის ამ დროს ხარკოვში მეცნიერებაზე დამყნილი ნოშრევანი? რას უყურებ, სად ბრძანდება?

მოქრის ნოშრევანი თავისი სანიტრებით.

ნოშრევანი კოფოზე დგას და სანიტრებს გასძახის:

-არ ჩამორჩეთ!

ტრიფონის სახლში კი ომი ავიატორების სასარგებლოდდამთავრდა, კართოფილი კილოობით და კილონახევრობით დაუბრუნდა ტრიფონს თავში. შემდეგ კი, როდესაც ტრიფონმა დაეზოში გამოაგნო, ქერთაოზმა და ქრისტეფორემ სამჯერ ისროლეს ობერკონდუქტორი ჰაერში, დაიჭირეს კი -მხოლოდ ორჯერ. ახლა ტრიფონი ეზოში დაბორიალობდა, სახლის კარებს ეძებდა და თავისთვის იმეორებდა, რომ არ დავიწყებოდა, ალბათ:

-აჯათსანდალი მოხრაკული პამიდორია ანუ ოქრო ვაშლი...

ერთაოზს კი ოსური ნაბადი მოემარჯვებინა და კუთხეში იოემწყვდეულ ხოხობს უტევდა.

-რას აპირებთ, ერთაოზ?-დაინტერესდა ქრისტეფორე.

-ეს ქალია, ამის განვითარებამ რა იცის, რა ბედნიერება ელის ცაში! ძალით უნდა წავიყვანოთ...

-არ მინდა დედალზე ჭდომა!-შულოდ იგლეჭდა თმებს მარგალიტა თმას.

სწორედ ამ დროს, თითქმის ერთდროულად, ამყოლაძეების ეზოში კივილისმაგვარი ყვირილით ორი რაზმი შემოიჭრა-ციხის და ნეო-ნერვო კლინიკისა.

-ტრიფონ, თავებია საშველი! -იკივლა მარგალიტამ, ერთაოზს გაუსხლტა ხელიდან და ტრიფონს მივარდა.

ეზოში მეხი გაისმა.

-არ დაიძრათ!-უყვირა ფსიქიატრის ხალხს ხუტა ოდიშარიამ,-ეს ხალხი ჩემია!-მიუთითა მათრახით ერთაოზსა და ქრისტეფორეზე.

-ვერ მოგართვეს გოზინაყი!-იწივლა კუჭუხიძემ.

-რას დაეთრევიმ ამ სახლში?-შეუტია ციხის უფროსმა.

-ხა, ხა, ხა!-ფრანგულად გადაიკისკისა ნოშრევანმა.

-მარუსია! მარუსია!

-ჩიყვიანო აზიატო! იწივლა ნოშრევანმა და სანიტრებს უბრძანა:-გამოიყვანეთ ავადმყოფები!

-არ დაუთმოთ ტუსაღები!-ბრძანებდა ციხის უფროსი.

-ქაფური პირში აქაფვით!-გაპყვიროდა ნოშრევანი, თან აქეთ იქით ქურციკივით აღგილს იცვლიდა.

ორი რაზმი ერთმანეთს ეკვეთა.

ატყდა ერთი ვაი-უშველებელი, შერბენა-გამორბენა, მათრახების ფსტვენა, ბაგა ბუგი, მალ-მალ გინება.

უბანმა გაიღვიძა, გაიღვიძა ქალაქმაც, აკიაფდა ჭრაქები. ყველამ „ნემეცის ქუჩას“ მიაშურა. იფეთქა საუკუნეობით დაგროვილმა სტიქიურმა ძალამ. არავინ კითხულობდა, ვინ-ვის, რატომ ან რისთვის ურტყამდა. დედის, მამის, პატარის, დიდის, ქალის, კაცის გარჩევა მოიშალა.

მოცელეს ღობეები, გათელეს ბაღები, ბოსტნები, ბორცვ-გორები, გაწიეს გვერდზე საქართველო! თევზი ნაპირს მოშორდა და სილაში ჩაიმარხა, ჩიტა ცა გამოიცვალ

ა. გახურდა ჩხუბი, აღდგა იმერეთი! გაიღო კარი ლხინისა!...

მორგოშიამ ქუჩის კუთხეში ბაგრატ მეფის უამს ჩასმული ქვა ამოაძროდა უმიზნ ოდ ცაში ისროლა. მეორემ, ასევე უმიზნოდ, ქოსა ძაღლს სტაცია ხელი და ლეღვის ხეზე ააგდო. ქუჩაში ქუჩაში თბილი ლეღვების წვიმა წამოვიდა.

სილოვან ბლიკვაძე ღორის ნაწლავებით ახრჩობდა ენუქი ფურცხვანიძეს, მაზლის ცოლების დანახვაზე, დარუშა შავგულიძემ ბავშვიანი აკვანი კორკიმელაზე ჩამოკიდა და ჩვეულებრივი, ძალზედ უბრალო ქვით ჩხუბში ჩაება. მაღლაკიდან ფხაკაძეები დაე შვნენ და ბეჭებიანი თოხები ისე დაატრიალეს, კოხინჯრობას რომ იციან. „გულვარდში “!ბუზიკამ“ დასცხო, იაშა ფლეიშმანი პანღურით ხელმძღვანელობდა ორკესტრს.

ხეზე ჩამოკიდებულმა პატარამ არტახები აიწყვიტა და შიბაქით ამოუგდო თვალი ხელის იმის ვეტერანს პაშა აბაშიძეს. გიმნაზისტი ახვლედიანი სამ მანეთს ითხოვდა ლათინური ენის მასწავლებლის ჭიდან ამოყვანაში. ლათინისტი იძლეოდა ორს.

-მაშინ ეგდე მაქ!-გიმნაზისტი ჭას მოსცილდა, ბორია გაგულაშვილს ყელში წაუჭირა ხელი და რჯული შეურყია. შვანგირაძემ ახეული ყური ჭიბეში შეინახა საცოლეს თვის და გოგი სვანიძეს თავი დაუშინა გატაებით

მინაგო ერგემლიძე მოგონილი კოჭლობით არ აძლევდა დამიზნების საშუალებას რაფიელ მიქაუტაძესზუსტად თავში ტაბურეტკის ჩარტყმისა და მზაკვრულად უშვერ და ზურგს, რომ ტაბურეტკა დაშლილიყო ზურგზე და არა მინაგოს სურვილის მიხედვით რაფიელის დანიშნულ თავზე, რომელიც ბავშვობიდან სავსე იყო ამნაირი ღალატი თ და ფალშივობით, და რომელმაც მაინც მიაღწიასასურველს: რაფიელის ტაბურეტკის ფეხმა დაბადების ფეხი მოტეხა მინაგოს და საფლავამდე არონინა არა მოგონილი კოჭლობით, არამედ ნატურალური ნარნარი კოჭლობით.

რაჭელები გუბერნატორის როიალით კედლებს ანგრევდნენ. ბურჯანაძე შუბლა ძეს დაბალ-მაღალ კბილებს ერთ ზომაზე უყენებდა მეწურბელე გაჩეჩილაძის ბალახვანიდან შემოჭრამ უფრო ააჩქარა საქმე.

-და გაჩერდი, შე სირისტიანი!-უყვირა ხუტამ ექიმს და ცხენი შეპქუსლა.

-ღრანჭის მასაუი მაგას!-ყვიროდა ნოშრევანი და აღგილს იცვლიდა.

კვასტანცია თითისტარით ედესიას დასდევდა..„ვაი, დედიკო, -იყვირა ქვამ, ფესტვენიძის მხედრულ კეფას რომ მოხვდა და ორად გაიყო. ფესტვენიძის ქვეშ მიწა იბზარებოდა. გვერდებშემტვრეული მეწურბელე გაჩეჩილაძე დაბიჭებული თავის აღსაღენად ნათესავებმა გოდრით გაიყვანეს ბრძოლის ველიდან და ექიმ მინოვიჩთანი გააქანეს, მაგრამ ერთმანეთში უსიამოვნების გამოჩაუვარდათ რიონის საიქიოში, თეთრი ხიდიდან.

-მე ვიცი შენი წამალი!-უკივლა ციხის უფროსსკუთხეში გამომწყვდეულმა ექიმმა და სანიტარს უბძანა:-ანტიძაღლინ!

განსწავლულმა სანიტარმა კეტი მიაწოდა ექიმს და ამ უკანასკნელმა მკლავის სიმსხო ფტეშვჭთბდშტგთ წამწამსა და წამწამს შუა რეკა ისე, რომ ბაღნარს ბოსტანსაც ვერ ეტყოდი.

გაჩეჩილაძე საიქიოდან ამოხტა და თავი ბურღივით შეუშვა ჩხუბში.

შიშიკო პალიკოს უფერადებდა სახეს მეჭეჭიანი კვახივით მუშტით. ფრთებდაპუ ტული არწივები ინდაურებივით დარბოდნენ ქუჩებში და დაპუტული ინდაურები კი, ჩვეულებრივ, როგორც დაპუტული ინდაურები.

-ორი მანეთი და ორი შაური!-ისმოდა ჭურიდან მასწავლებლის ხმა.

-სამი მანეთი!-მტკიცედ ადგა თავისაზე გიმნაზისტი ახვლედიანი, რომელსაც მამ აგეიშვილი თავით ნაკურთხ მარილს ანაყინებდა.

ბარე სამოცი კაცი ცხვირგატეხილი დარბოდა, მარგალიტას სახლიდან ტაშტები თ აქცევდნენ სისხლს.

მარგალიტა უკვე აღარ ჰგავდა კამთეტზე დახატულს, საბრალო ლოყებს იკაწრა ვდვ და ქმართან ერთად კედლებს ასკდებოდა.

-გაჩერდი, შე კურდღლის ტყავოსანო!-ისე უყვირა ხუტამ ექიმს, რომ ლომს გაუსკდებოდა გული, თანაც რამდენჯერმე ჰაერში დაცალა იარაღი.

-არ დამინდობს:-მიხვდა მარგალიტა, ტრიფონი წინ გაიგდო და ბუხრისაკენ გააქანა.

-რას შობი, ქალო?!

-მიდი, შეძვერი!

-ვერ შევეტევი!

-შენ კი არა, ორი შენხელა შეტეულა!-უყვირა მარგალიტამ

,--კი მარა, ის შავი ვინ იყო?-იკითხა ტრიფონმა და ბუხარში ტუცა თავი.

-ასი ჯანდაბა შავებს და თეთრებს!

-გამოუშვი შმაგები!-ბოლო წამს იყვირა ხუტას ქვეშ მოყოლილმა ფსიქიატრმა.

-ორსულები გეიყვანეთ!-მიხვდა ვიღაც ღვთისნიერი, სულ რამდენიმე წუთში ნეო-ნევო-კლინიკის მხრიდან შმაგების ტოტალური რაზმი შემოიჭრა. მაშინ ქიმია არ იყო, ვაშლში ჭია ცხოვრობდა, რე ქვაბიდან გადმოდიოდა, გიუ გიუბდა, შმაგი შმაგობდა. ბრძოლაში შმაგები ჩაებნენ. ერთმა, ყველაზე ჩქარა მდუღარემ, ხუტას ცხენს კბილე ბით ააგლიჭა ნალები.

ციხის დასი შედრკა, ვერ დაიხია, შემდეგ უსიუსირცხვილოდ მოუსვა, გაიბნა, დაიკარგა სახლებში, ბაღებში, ტყეში, გარეულ ნადირში, ხაშურში და იმის იქით.

-ორი მანეთი და ოთხი აბაზი...-სუსტად მოისმა ჭურიდან მასწავლებლის ხმა. ჭურში, წყლის სარკეზე ერთხანს სამი ბუშტი სადაფივით იცვლიდა ფერს, რის შემდეგ ლათინურის და მისი მცოდნე არავის გახსენებია ქალაქში დღემდე. სიმყუდროვე ჩამოდგა. დაწყნარდა მთვარეც, სახე დაეწინდა, გამოჩნდა ხვამლი, წავიდა ეშმაკი, დაიძინა იმერეთმა. მაისმა ნიავმა ვარდის სურნელი გადაავლო საქართველოს!

საკვამურიდან ტრიფონის თავი გამოჩნდა, მსხვილი ცრემლებით თვალებზე. ობერმარე შეათვალიერა, საკვამურვარსკვლავიან ცას ახედა და მთვარეს ალერსით უთხრა::

-აჯათსანდალი მოხრაკული საჭმელია, რომელიც კეთდება ოქრო ვაშლისაგან... ჩამო ჩემსას, გაგასინჯო.

არა ნიავმა ნაზმა ქოსა ძალლი ჩამოაგდო ლელვის ხიდან, თევდორაძემ წიხლი კრ

ა ხეს. დაცემისას კული გადაუტყდა, ერთიც არ დაუკვნესია, ისე გასცილდა „ნემეცის ქუჩას“.

კიდევ მრავალი წლის განმავლობაში მოსაგონრად ჰქონდათ იმ ღამის ეშები. დღე საც ამბობენ მოხუცებულები: „როდის? ტრიფონი რომ თურმე შავ კაცს ეძებდა, იმ წელს დაგოჭლებულვარ, თურმე“...

### თავი მეოთხე

ნეო-ნერვო-კლინიკას ათი ქცევა მიწა ეკავა ქალაქის განაპირას ჩავარდნილში. ამ მიწის გვარიანი ნაწილი სიმინდის ყანებისა და ბალ-ვენახებისთვის დაეთმოთ. ნოშრე ვან კუჭუხიძემ, ერთ-ერთმა პირველმაშემოილო შრომითი თერაპიაშრომითი თერაპია, თუმცა ეს ტერმინი ჯერ არ არსებობდა, კარგად იცოდა, რომ ავადმყფის მარტო ჯანმრთელობა კი არა, არსებობაც იმ მოსავალზე იყო დამოკიდებული, საკუთარი შრომით რომ მოიწევდნენ კლინიკის ავადმყოფპაციენტები.

7)ყანების და ბალ-ვენახების გარდა, ღორების კოლტი ჰყავდათ, მათ შორის შორის ერთი თმახუჭუჭა, ორი რქადაბალი, ჩაძინებულიძროხაძროხა-ალმასა და მაისა, ერთი-ნახევრად გამშრალი, მეორე-ნახევრად მეწველი. ფსიქიატრიული ახალშენის ჭიშკარს პატარა განცხადება ამშვენებდა: „პილბილისა და ამნაირის შემოტანა სასტიკად აკრძალულია“. აქვე ჭინჭარში იდგა აგურის შენობა, რომლის სოკოთი დაავადებული კედლები ტკბილად ტიროდა. ამ შენობას ორი კარი ჰქონდა და ერთი წარწერა-„საოუნე“. მარჯვენა კარი განკუთვნილი იყო თავადაზნაურთათვის, მარცხენა-ჩვენთვის, მდაბიოთათვის, თუმცა ორივე კარს ერთსა და იმავე ოთახში შევყავდით. ეს გარემოება დიდუსამართლობად ეჩვენებოდა როგორც გაბატონებულ, ისე დამორჩილებულ კლასს.

ნეო-ნერვო-კლინიკის პაციენტები მარტო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას არ ეწეოდნენ, აქაც იგრძნობოდა პროგრესის ნიავი. პაციენტთა განკარგულებაში იყო სახარატო, საზეინკლო, სახარაზო და სამჭედლო სამჭროები აქვე აკეთებდნენ ღვინის კასრებს, დოლებს და კამათლებს ოკრიბული შავი ქვისაგან, რომელსაც გიშერს უწოდებდნენ და გიშერი გახლდათ კიდევაც. მკალავიც ჰყავდათ, ლეკი, ემალუდინი ერქვა სახელად.

კლინიკის ტერიტორიაზე ერთი დიდი შენობა იდგა. ორი თვალი მასში ძველი ეკლესიის ნაშთს ამოიკითხავდა. ამ ნაგებობას მიყუდებული იყო უფრო მცირე შენობა, ასთუთავიანი კასრი რომ ადგა თავზე, იმაში სამრეკლოს ეს გახლდათ საშხაპე, დოქტორ შარკოს წესით, გამრთული. აქვე იყო წამლის წისქვილიც.

ამ საშხაპეს წინ, იმ მზიან დილას, ზეხმელი ხის ქვეშ ხელ-ფეხ შებოჭილი და პირში ნაჭურჩებით ერთაოზი და ქრისტეფორე ისხდნე და ყურადღებით ადევნებდნენ თვალს, რა ხდებოდა მათ გარშემო.

ერთი სიმელოტეში შესული კაცი ტკბილი ლილინით ქანაობდა საქანელაზე, მეორე მოყვითალო კაცი ღობის ძირში მიდი-მოდიოდა და ძირტკბილას ჭამდა. მესამე, მხ

ცეშერეული, თავგანწირულად დჰქროდა და ბორბალს აგორებდა. მეოთხე, მშფოთვარ ე, ცდილობდა, თმახუჭუჭა ღორს შემოხტომოდა. ვის გზირობა დაეჩემებინა და რაღაც ას გაუგებარს და გაუგონელს ყვიროდა სამჭედლოსთან, ვის მრგვალი საგანი ზურგით დაჰქონდა, ოთკუთხედს კი-აგორებდა. ვიღაცა ყვიროსტვირით აყრუებდა იქაურობას, ერთი კიდევ პატარა თავიანი, თითქოს ბავშვის დახატული, ღორებს ითვლიდა უკულმა :

-თხუთმეტი, თოთხმეტი, ცამეტი...

გამგე ექიმი კაბინეტიდან გამოვიდა და სანდომიანი ღიმილით ერთაოზსა და ქრისტეფორეს მიუახლოვდა. უკან ორი სანიტარი მოჰყვებოდა. ერთს სქელი, ორმაგი ბუღალტერიის დავთარი ეჭირა ხელში.

-კეთილი იყოს, ბატონებო, თქვენი აქ მობრძანება,-კოკობი ღიმილით მიესალმა ახლად მოყვანილებს ნოშრევანი.

პასუხად სამად დაყოფილი მილი მიიღო.

-გაუხსენით საინფორმაციო წყარო,-უბრძანა სანიტარს ნოშრევანმა, ღიმილებს რომ მორჩა.

სანიტარმა ნაქურჩალა პირიდან ამოულო ერთაოზს.

-უჰ, შენი!...-აყვირდა ერთაოზი, მაგრამ ნოშრევანმა განკარგულება გასცა:

-დახურეთ!

ნაქურჩალა დაუბრუნდა ერთაოზის პირს. ნოშრევანმა ქრისტეფორეს გაულიმა.

-კეთილი იყოს თქვენი აქ მობრძანება, ბატონო ქრისტეფორე, გამოუშვით ინფორმაცია!

სანიტარმა ახლა ქრისტეფორეს ამოაძრო ნაქურჩალა.

-შე ნაძირალავ!-ეს წყაროც მღვრიე აღმოჩნდა და სანიტარმა უმალვე შეწყვიტა მისი დინება.

-აღნუსხეთ,-ბრძანა ნოშრევანმა და დავთრის სანიტარმაც ჩაიწერა ქრისტეფორეს სიტყვები. შემდეგ ნოშრევანმა ჩაახველა და დასაჯერებლად დაიწყო:

-რა აუცილებელია, რომ თქვენი ბრწყინვალე იდეა, გაფრენის იდეა, -ლაბორანტის მიუბრუნდა და უთხრა,-ჩასწეთ-ფრენოლოგია... განხორციელდეს სადღაც შორს, სადაც თქვენ კაციშვილი არ გაგიწევთ თანაგძნობას. ჩვენ კი მზად ვართ, ყოველმხრივ მოგეხმაროთ. ჩვენი ხალხი გაგიგებთ, ახლოს მიიტანს გულთან თქვენს იდეებს, გაგიწევთ დახმარებას.-ექიმმა ეზოში მოფუსფუსე ხალხზე უჩვენა.-ჩემს პაციენტებს შორის ბევრი კარგი ოსტატია.

უცებ აღაყაფის კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა. დარაჯი წამოდგა, გადააგორა ქვა, კარებს რომ აკავებდა და ნოშრევანს შეხედა.

-უფროსო, ვიღაცა თავისი ფეხით მოსულა, არ ასვენებს გამჩენი,-უთხრა ექიმს კარისკაცმა.

კარებში ოდიშარიამ შემოყო თავი. ერთის შეხედვით და შორიდანაც სახე სულ დალილავებული ჰქონდა ვარდისფრად.

-გაუხსენით საინფორმაციო წყარო, მოილაპარაკონ!-მიუთითა ექიმმა ქრისტეფორ

რეზე სანიტარს, პაციენტები მიატოვა და სწრაფი ნაბიჯით ოდიშარიასკენ გაემართა.

-რა გნებავთ? -მშრალად ჰქითხა ციხის უფროსს ნოშრევანმა.

-გამრჯობა, ექიმო,-შერიგებულად დაიწყო ციხის უფროსმა და ჯანსაღად გაიღიმ ა,-გუშლამ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. სიბნელე იყო, ცხენები თავისთვის მორბოდ ნენ მირბოდ-მორბოდნენ. პატივცემულმა ავადმყოფებმა ცოტა არ იყოს, ზედმეტი გვაკ აღრეს მეც და თქვენცც...-ფაქიზად ხელი დაიდო დალურჯებულ თვალზე. ხუტას სახი ს ასოები ერთმანეთს არ ემოწმებოდნენ.

-შემობრძანდით, -ხონურად გაუღიმა ოდიშარიას ექიმმა. ციხის უფროსმა ფეხი შემოდგა კლინიკის ეზოში. ხუტამ თავი კისერზე გაისწორა, კისერი ბეჭებზე და ფრთხილად დაიწყო:

-და ჩემი აზრი და მოხსენება შემდეგია: ამ დღის რაღაც მამაძალლური სუქინსინ ობით ორი ბოროტმოქმედი გაიქცა ციხიდან. ერთს დარჩა მოსახდელი ასოციაციიდან წელი, დარჩა უკვე ხოლო სხვას-მეორეს-სამი. ის მეორე მურთხი რომაა და ახალგაზრ და, დაჭერილია ხელმწიფის კაცის ცოცხლად დამარმარხვისდროს, მაგალითად!

ნოშრევანი ნიჭიერი კაცი იყო, ყველაფრის გამეცნიერება ეხერხებოდა. სანიტარ ს მიუბრუნდა.

-სიმონო, ჩაწერე: ოფიციალური პირების ცოცხლად დამარხვის ტენდენცია, კალ იგულა-კომოდის კომპლექსი.

შემდეგ ოდიშარიას მიუბრუნდა:

-განაგრძეთ.

ხუტა თვალს არ აშორებდა ყოფილ პატიმრებს, შემტყობი კაცი იყო, რაღაცაზე ცხარედ რომ კამათობდნენ. მის გაწვრთნილ ყურს ესმოდა ქრისტეფორეს სიტყვები: „არა, ერთაოზ, ჩვენ თუ არ მოვითმენთ, თუ აქ არ დავრჩით, ძალიან გაგვიჭირდება „თა მუნიას “ აშენებე“.

-განაგრძეთ,-მოსთხოვა ნოშრევანმა.

-უნდა აღამიბრუნოთ ეს ხალხი, მაგენი ხომ კანონს გაურბიან.

-როგორ?! ძლივს მოვესწარი საქართველოში ასეთებს! თქვენ კი გინდათ, ციხეში დაალპოთ ისინი! იბერუს, კავკაზიკუს, ჰაეროტიტიკუს ტემპერამენტოს! ასეთები ჯერ ევროპაშიც არ შეიმჩნევიან! და, როდესაც ჩვენს მამულს ამ საქმეში პირველობა ელი ს და როს საქართველო ასპარეზზე გადის, მოდიხართ თქვენ და...

-რომ გაფრინდნენ?-იკითხა ხუტამ.

ექიმმა თვალებში ჩახედა ხუტას.

-როგორ თუ გათრინდნე?

-აი ისთე! ჯინაზე!

ნოშრევანმა ალერსიანად გაუღიმა და დათაფლული ხმით, სხვათა შორის, ჰქითხა: -ცხელა, არა?

ხუტამ ხმლის ტარით შუბლიდან ოფლი აიღო.

-გვარიანად...

-წამობრძანდით აქეთ.

სანიტრებმა ზუსტად დაიჭირეს ექიმის ხმაში ნაცნობი ინტონაცია და ერთმა, ნელა დაიწყო ქამრიდან თოკის გამოძრობა.

-მაშ, თქვენც გჯერათ, რომ გაფრინდებიან? -მზაკვრულად გაულიმა ნოშრევანმა ციხის უფროსს.თ

ხუტას სანიტრების მანევრი არ გამოლრჩენია, შეეშინდა, იფიქრა: „ეს გიუი არ გამიშვე ბს აქედან. მერე იძახე რამდენიც გინდა, ციხის უფროსი ვარო, აქ ხუთი მეფე ჰყავთ დ ა ვინ იცის-რამდენი გუბერნატორი.. ნახე, რაფრა იბლიტება ჩემსკენ ის სანიტარი.3-გ აითიქრა ხუტამ.

-არა, ადამიანს რა სიკვდილი გააფრენს, არც ფრთები აქვს, არც კურტუმო ,შნო არც შნო, ორი ფეხი, ხელებიცა, მამიდაშვილებიც... პანაშვიდი, მაგალითად...

-არა, არ! თქვენ ეს ესაა გამოთქვით აზრი, რომ მოსალოდნელია მათი გაფრენა.- თვალებით ხვრეტდა ხუტას ნოშრევანი.

-არა, ბაქონო, ისე მოგახსენეთ, პირის გამოსაწმენდად.

-აბა, თქვი „აააა“.

-თქვი, „ა“, -ექიმი ცუდს არაფერს გატყვის,-უთხრა სანიტარმა.

გოგოების მამა ვარ... თხლესავით წავიდა ოდიშარია,-„ერთი თავი გამატანია აქე დან, თვარა ამ ინდაურებში გაზრდილებს კინ ჩივა. მარგალიტა, შენი ასე და ისე, შენ გადამკიდე ამ ცივ ქვაზე გალესილებს

-აბა, თქვით „ააა“...

-მეც ქართველი ვარ, მეც მიხარია, ჩვენში რომ ასე აეჭრა კაცს ჭკუა...-უკან უკან იხევდა ოდიშარია,-დავივიწყოთ, რაც მოხდა, კიდევ მოგიყვანთ ერთ-ორს. ერთი მყავს , დიდი ასოები მოვიგონეო წერტილის წინო და წერტილის მერ, ჩასუნთქვა, ჩამოჯდომ ა და ბოლოკის წვენის დალევაო.თ მოგართმევთ იმასაც,-ამ სიტყვებით ხუტა ეზოდან გავარდა და ციხისკენ გაიქცა, მოკლეზე.

ნოშრევანი ქრისტეფორეს და ერთაოზს დაუბრუნდა.

-ხარის ტყავი, საკოჭე მასალა, სამი საუენი ბზის ფიცარი, თუნუქი, დიდთავა ლუ რსმები,-წარუყენა პირობები ქრისტეფორემ.

-ჩაიწერეთ?-მიუბრუნდა ნოშრევანი დავთრის სანიტარს.

ყოველივე ჩაიწერა, ყოველივე აღინუსხა, საუბარი კი დასრულდა ნოშრევანის შე მდეგი სიტყვებით:

-...ჩვენ მხოლოდ ერთი სათხოვარიგვაქვს, დაგვრთოთ ნება, ვაწარმოოთ თქვენზე დაკვირვებანი. ეს იმისათვის არის საჭირო, რომ მომავალ თაობებს არ დაეკარგოს თქ ვენი აფრენის ამბავი.

-კეთილი,-მისცა თანხმობა ქრისტეფორორემ.

ასე და ამრიგად, მოხდა შეთანხმება.

ერთაოზს და ქრისტეფორეს თოკები ახსნეს. მთელი დღე ნეო-ნერვო-კლინიკის შესწავლას მოანდომეს.

ის დღეც მიილია. ქრისტეფორე და ერთაოზი ძილს მიეცნენ. კატამ ღობე გადაი არა.

შემ გერ არ იყო ამოსული, რომ ორივენი ფეხზე იდგნენ, გამოვიდნენ ეზოში, სა დაც მათ უკვე ცალქალამნიანი სანიტარი ელოდა დავთრით ხელში და კისერზე ჩამოკ იდებული სამელნით. მალე მათ ნოშრევანიც შეუერთდა.

ჭრისტეფორემ მონხა სწორი ადგილი და გადათვალა ათი ნაბიჯი.

-სიგრძე უდრის სიყვარულს,-თქვა მან და განის გაზომვა დაიწყო.

-ჩაიწერე,-უბრძანა სანიტარს რომ ჰგავდა, შვანგირაძეს ნოშრევანმა.

-სიგანე-რწმენას!-თქვა ჭრისტეფორემ.

შემდეგ ცაში აიხედა, თავზევით ხელი ასწია, შეხტა და თქვა:

-სიმაღლე-იმედს!

-უკიფშეუტ!-თქვა ერთაოზმა,-რომესაც გერმანულის გარდა წინ კიდევ ოთხიერა ესწავ ლა-ინგლისური, ფრანგული, ესპანური და ძველი მეგრული, ქართული სიტყვების უკ უღმა და გვერდულად წაკითხვით.

როდესაც მომავალი აპარატის გაბარიტები დაადგინეს, აგებას შეუდგნენ. გამოი ტანეს სამჭედლოდან საარაყე ქვაბიქ და აჩაჩა ურემზე დადეს, რომლის სიგრძე, იღბ ლად, ზუსტად სიყვარულს უდრიდა, ტევადობა-ერთგულებას.დაიწყეს ფრთების კეთე ბა. ამასობაში დღეც მიიღია.

....

....

....

12)გვალვიან ზაფხულს წვიმიანი შემოდგომა მოჰყვა, ადრე ღამდებოდა. იკლო ცხოვრე ბის სიჩქარემ, გასაქცევზე აღარ მირბოდა კაცი, მიღიოდა, ან სულაც გადახურულში დ გომას არჩევდა.

მიიძინა ფსიქიატრიულმა კოლონიამ. ჭირისუფალი ვისაც ჰყავდა, სულ უფრო ნ აკლებად აკითხავდა თავის ავადმყოფს.აჭრეს ყანები, გაყიდეს ლორები, ორივე ძროხა გაშრა, ხეს ფოთოი დასცვივდა, გნოლიძემ, ლორიამ, ჩილაჩავამ, სიმონგულოვმა და ტყ ეშელაშვილმა ჩალის კარავში შეთქმულება მოაწყეს, „ტყვილა ვყავართ აქანეო, მეფემ თუ გოუგო ნოშრევანს, დედას უტირებსო.“. კარპეზა დენიაგმა (ნოშრევანის კაცმა) დ როზე უცვალა გეზი შეთქმულებას, სხვა მსვლელობა მისცა და ოყნებს დაუკავშირა-ამ საქმეში თავად-აზნაურობასთან გათანაბრება მოითხოვა. ამ დროს ძროხამ კარავი შე ჭამა, თავსხმა წვიმაში კი შეთქმულებამ ინტერესი დაკარგა.

აივნის ქვეშ შავი დედალი იდგა სველი და რიკულზე ჩამოცოცებულ ყველა წვეთ ს გაშეშებული თვალით წუმპემდე აცილებდა. შორს. ლობის იქით, დროდადრო ნისლ ი გაირღვეოდა და ფეხშიშველა სალდათები გამოჩნდებოდნე, რომლებიც მდინარეში წ უღებს რეცხავდნენ. ერთაოზი და ჭრიმსტეფორე კი განაგრძობდნენთვითმფრინავის მ შენებლობას. ერთი წამით არ მიუტოვებია ისინი ნოშრევანს, სულ თავზე ადგა და სან იტარს ჰკარნახობდა:

წვიმას არ ერიდებიან, ვინაიდან სტატისტიკა ადასტურებს, რომ გონიმიხდილებს ქოჩირიანობა ჯაგრიანობაში გადასდით და მატყლის ქუდის ილუზია ექმნებათ.

წავიდა ჭინკა, გამოიდარა.

15) ერთხელ ასკილის ბჩქიდან აბრამია ალავიძე გამოვიდა (თავს რომ ლეჩხუმის პურ-ღვინო-ღომ-სიმინდის ასისთავად ასახელებდა). ძაღლივით გვერდულად მიუახლოვდა ქრისტეფორეს და ერთაოზს, მიიხედ-მოიხედა და თქვა...

-ერთიი რამე უნდა გითხრათ.

-ბრძანეთ,-მიუგო ქრისტეფორემ.

-ურემს ქვევიდან აქვს ბორბლები, იმიტომ რომ მიწაზე დადის. ცაში თუ გინდა თ სიარული, ბორბლები ზევიდან უნდა გაუკეთოთ. ეს, მე რო რემეტიზმი არ მჭირდეს...-თქვა და წავიდა.

ეს იყო და ეს, სხვა რჩევა არავისგან მიუღიათ.

მიილია შემოდგომაც, დადგა ზამთარი. მოვიდა იმერეთის ზრდილი სტუმარი-თოვლი და ყველაფერი გადათეთრდა. შმაგები რომ შმაგებია, ისინიც დაწყნარდნენ, დალევნენ დილით ნაყიდ წაქს და საღამომდე ეძინათ. ერთაოზის და ქრისტეფორეს აგზნება კი სულ უფრო და უფრო მატულობდა.

3) ბოლოს და ბოლოს ყველაფერს აქვს დასასრული-ურემზე დამაგრებულმა ქვაბმა, ხარის ტყავის გადაჭიმულმა ფრთებმა, ნაფოტებმიმაგრებულმა ქვაბმა, ნაფოტებმა გარკვეული სახე მიიღო. ნეო-ნერვო-კლინიკის ეზოში იდგა მილიონი წლის წინათ გადაშენებული ფრინველი, რომლის გარეგნობა და წონა გაფრენას კი არა, ადგილიდან დაძვრასაც საეჭვოს ხდიდა.

ერთ მშვენიერ დილას კი ქრისტეფორემ გაანდო ნოშრევანს:

-ხვალ დილით გავფრინდებით.

იმავე საღამოს პარიზში, კაზანოვას ქუჩაზე ფოსტალიონმა დეპეშა გადასცა უგანათლებულეს ფსიქიატრს, დოქტორ შარკოს.

დიდმა ფსიქიატრმა სათვალე გაიკეთა და კითხვას შეუდგა:თ

„ელვა. აკადემიკოს შარკოს. ძვირფასო მასწავლებელო და კოლეგავ! ფრენოლოგ ებმა განაცხადეს, რომ ხვალ გაფრინდებიან. იდეა ფიქსის აუცილებელი მარცხი გამოიწვევს შოკს. მზადყოფნაშია ბროწეულის წვენის ოყნები, საშხაპო აპარატურა. აცნობეთ ლომბბროზოს. მუდამ თქვენი იდეების ერთგული, ნოშრევან ქეთევან მომენტი, დომენტი კურუნიძე-კავკასიელი“.

1) შარკო ფანჯარასთან მივიდა შორს, ინვალიდების სასახლის დაორთქლილი ვერცხლისფერი გუმბათი დილის ნისლში იკარგებოდა. ნაწვიმარ ლისეის მინდორზე, სველ ქვაფენილზე ეტლებისა და კარეტების ჩრდილები იკლაკნებოდნენ. მონმარტრს ეძინა. ნოტრდამი დუმდა.

დიდმა ფრანგმა დეპეშა დაჭმუჭნა და კვაწარახის ბოთლს დააცო.

...

3) აფრენის დილაც გათენდა, დილა, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდნენ ერ

თაოზი და ქრისტეფორე.

ბლიკვაძემ, ინდაურების მწყემსმა, პირველმა გაიღვიძა და ცათამფრენთან მივიდა ა. უბიდან პეშვი ახალი ტყემალი ამოიღო, პირში შეიყარა, დაიკლაკნა და გაბურდგნი ლი თმიდან დილის ნამი ჩამოყარა. ნოშრევანი თავის სანიტრებიანად იქვე ტრიალებდ ა. სულ მალე მთელი ფსიქიატრიულიმ კოლონიის მოსახლეობა შეიკრიბა. ერთაოზმა ტყის შეშა შეაწყო ცათმფრენის ღუმელში. ქრისტეფორემ უბიდან კვეს-აბედი ამოიღო (ხშირად ასე ესაზღვრებიან ერთმანეთს ადამიანის უკანასკნელი და უპირველესი მიღწევები) და ცეცხლს მოუკიდა. მხიარულად ატკაცუნდა შეშა.

3)ფსიქიატრიულ კოლონიაში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ქვემო ჭალიდანბაკის უბნელი დოროთეა შუბლაძის გაბმული ყვირილი ისმოდა, ამგვარად ებრძოდა დოროთია შიმშილს.

ქრისტეფორემ ვარდები გამოართვა სანიტარს და შეკრებილთ მიმართა:

-ძვირფასო მეგობრებო, ბატონო ნოშრევანთბატონო ნოშრევან! თქვენ ეხლა მოწმენი გახდებით არნახული და დაუვიწყარი ამბისა. ჩვენ გშორდებით თქვენ და ვეზია რებით ცას. გონებას აღვიძებს გრძნობა, გრძნობა პლუს-მინუს ქს კვადრატს!

ერთაოზმა ვეღარ გაუძლო ცდუნებას და და მოღუნული რკინა დაქაჩა. ცათმფრენი ადგილიდან მოსწყდა, აგრუხუნდა. იფეთქა სქელმა და ცხიმიანმა ბოლმა. ქრისტეფორეს ხმა ქვაბის ქშენამ დაფარა.

2)ცათმფრენმა, საშინელი სიჩქარით(ორჯერ რომ აღემატებოდა თავად ნაკაშიძის ფაეტონის სიჩქარეს), ეზოს წრე დაარტყა და უპატრონო დოროთიასკენ დაქანდა. დოროთიამ დროზე უტია, თორემ ავიაციის პირველი მსხვერპლი გახდებოდა. ნოშრევანი და სანიტრები კივილით გამოეკიდნენ საფრენ აპარატს, რომელიც ისევ დაუბრუნდა თავისი დაბადების ადგილს, ხალხი მითანტ-მოფანტა, გაქანდა ღობისკენ; გზად ნოშრევანის საოყნე და წამლების წისქვილი წაშალა, ღობე გაანგრია, მინდორში გავარდა და ნახნავ მიწაზე ხტუნვა-ხტუნვით პირდპირ უფსკრულისკენ გაემართა. პაციენტები უიღილ-ხივილით დაედევნენ უკან.

აი, ცათმფრენი უფსკრულს მიუახლოვდა, ნოშრევანმა უბედურების მოლოდინში ი თვალები დახუჭა, მაგრამ ძალამ, გაუგებარმა და შეუცნობელმა, ეს ნაგებობა ცაში აიტაცა, ცათმფრენმა ნელ-ნელა ზევით დაიწყო აწევა.

-დედალი? -გაახსენდა ერთაოზს და მიწას ჩაჰედა. შავ დედალს შავი მამალი ღობის ძირას ტკეპნიდპ.

-სიყვარული ვერტიკალურია! -აგრძელებდა სიტყვას ქრისტეფორე, მეტის გაგონება ვერავინ მოახერხა.

ცათმფრენმა წრე დაარტყა ნეო-ნერვო-კლინიკას, პაციენტებმაც ლოცვა-კურთხევით ერთხანს სდიეს გაფრენილ მხსნელს, ვიდრე „თამუნია“ არქიელის გორას არ მიეფარა. ლეკი ემაღლებინი მანამდე მისდევდა მიჰყვა გაფრენილებს, სანამ მათი მიმართულება ერთმანეთის საპირისპირო არ გახდა.

-დაბრუნდით! -უიმედოდ მისძახოდა მდუმარე ცაში დარჩენილ ბოლს ნოშრევანი, -მაინც არავინ დაგიჭერებთ, რომ დაფრინავთ! დაბრუნდით! აბი გლუკოზა! ...

ნოშრევანს გული წაუვიდა.

XXX

4)თამუნია ყიფიანის საფლავის თავზე გრუხუნი გაისმა. ცათმფრენი ნელ-ნელა დაუახლოვდა მიწას და საფლავიდან ორ საჟენზე ჰაერში გაიყინა.

-ეგ სიყვარული, დიდი, შენ შემაყვარე, კარგო,-სევდით თქვა ქრისტეფორემ და ნ აზად და ნაზად დაუშვა ყვავილები თამუნიას საფლავზე. თვალცრემლიანმა მოხუცმა ე რთხანს უყურა, უყურა ძვირფას საფლავს, შემდეგ კი ერთაოზმა ნელა, რიდით დაძრა ცათმფრენი ქალაქისაკენ.

ქალაქის თავზე უცხო ჩიტის გამოჩენამ დიდი აურზაური გამოიწვია. ქუჩაში ეგ როპა ხალხი გამოეფინა. „თამუნიამ“ ლალად გადაუფრინა ქალაქს და „ნემეცის ქუჩაზე“, მარგალიტა ამყოლაძის სახლის თავზე დაეკიდა.

-მარგალიტა, მარგალიტა!-იყვირა ერთაოზმა.

სამერცხულოში მარგალიტას თავი გამოჩნდა.

-რა ლაშაზი ხარ!-თავი ვერ შეიკავა ერთაოზმა.

-რომელი ხარ?-აქეთ-იქით იხედებოდა მარგალიტა და ვერაფრით მოეფიქრებინა ცაგში ახედვა.

-ერთაოზი ვარ, შენი ერთაოზი!

-სად ხარ, მერე, ბოშო?!

-აგერ ვარ, აგერ, ცაში, ჩემო საყვარელო!

მარგალიტამ ცაში აიხედა და ფეხები მოეკეცა.

-შენ შემოგიარე!-წაიჩურჩულა მარგალიტამ.

-მოკრიფე, თუ რამე გაქვს სამახსოვრო და გავფრინდეთ სადმე შორს!

-ამ მინუტში!-მრგალიტა სახლში შევარდა, ამას ეცა, იმას ეცა, შეკრა-შემოკრა ბოხჩები, სკივრი გამოათრია, ისევ ოთახში შევვარდა...

ამ დროს ეზოში ელიტოპოლიდან დაბრუნებული ტრიფონი შემობოტდა. ზურგ ზე ტომრები ედო.

-მოვდივარ!-სიყვარულით შესძახა ცას მარგალიტამ.

-სად მიდიხარ?-იკითხა ობერმა.

-სტამბოლში!

-შედი, ქალო, სახლში!

-სტამბოლში მინდა!

-რა სიკვდილი გინდა იქ?

-ინდიხურმა.

მოდი, ჩემო მარგალიტა, მაგას რას უგდებ ყურს!-დაუყვირა ერთაოზმა. ტრიფონმა თავი ასწია, ტომრები მიწაზე დააგდო და ქვები დაუშინა „თამუნიას“ ეკიბაუს.

-ის შავი მოიყვანდა ამათ. ქშიო!-იყვირა ტრიფონმა.

17) შემდეგ გრძელ სარს დასტაცა ხელი და მფრინავებს შეუტია.

18) ერთაოზმა ცოტათი ასწია „თამუნია“. რა ექნა ტრიფონს? რა ექნა უბედურ ობერკონდუქტორს, როგორ დაეცვა ცოლი? დიდ თავში ერთმა პატარა და სწორმა აზ

რმა გაუელვა. სტაცა ცოლს ხელი, ბეჭიშე გადაიდგდო და სახლისაკენ გააჭანა. სახლში ხომ ვერ შემოფრინდებიანო.

ტრიფონმა ეზო გადაირბინა და ის იყო, კიბის საფეხურზე შედგა ფეხი, რომ უც ებ მარგალიტამ დამცრობა და დამჩატება იწყო, ტრიფონმა კარს ფეხი ჰქონა, ოთახში შეიჭრა, მაგრამ მარგალიტას მაგიერ პატარა შაქრის თოჯინა შერჩა.

-ვაი...+წაიჩურჩულა ტრიფონმა და თოჯინა ხელიდან გაუვარდა.

შაქრის თოჯინაწყლით სავსე ვედროში ჩავარდა. ტრიფონი დაიხარა, მაგრამ უკვე გვიან იყო, თოჯინა თითქმის დამდნარიყო. ტრიფონს მუხლები მოეკეცა. ვედროსთან ჩაჯდა. მარგალიტა ჩუმალდ შელამაზდა წყალში. თოჯინა სრულიად დაღნა. შავმა ხე ლმა მოუჭირა ტრიფონს გულზე, ცრემლით აევსო ობერს თვალები.ვედროში თითი ჩა ჰქონა, ერთხანს ატარა წყალში, შემდეგ ენაზე გასინჯა. ო, რა ტკბილი და მწარე იყო ვე დროში წყალი!

-ვაი, ჩემო კუკლიკა, თურმე, რაფერ ნამყვაყვარებხარ...-თქვა ტრიფონმა, გულზე დამბლა მოუვიდა დამოკვდა.

-მარგალიტა, მარგალიტა!-ისმოდა გარედან ერთაოზის ხმა.

ერთხანს ელოდნენ მფრინავები მარგალიტას გამოსვლას, მაგრამ საშველი რომ არ დაადგა, მიხვდა ერთაოზი, რაღაც უბუ-ედურება მოხდა ჩემს თავზეო და ცრემლი წასკდა თვალებიდან.

-

თ+-ეპა, ჩემო ერთაოზ, აბა, გსმენიათ, რომ პირველი სიყვარული ბედნიერი ყოფილიყოს? პირველი სიყვარული ცაში თუ აგაფრენს, თორემ მეტი არაფრი მისგან არ ხდება,-,ამ სიტყვებით ქრისტეფორემ მუხლები აუშვა და „თამუნია“ სწრაფად მოშორდა „ნემეცის ქუჩას“.

ცათმფრენა გეზი გეზი ერთაოზის სოფლისკენ აიღო. აი, ძუყნურიც გამოჩნდა, გვერდზე მიყუდებული ქალამნიანი,ყავარდავარდნილ-ჩაშლილი, დამშეულ-გაღლეტილი. ცათმფრენის გამოჩენაზე ხალხმა თოხი მიატოვა, გამოეფინა ქარში. მოულოდნელა დ ცათმფრენს ღორის თავი მოსწყდა, შემდეგ-სავსე ტიკი, ბოლოს-ნაბადი.

მიზანას შვილი უბრუნებდა სოფლს დიდი ხნის წინათ გამოტირებული მამის ვალებს.

-რომელი ხარ?-იკითხეს ქვევით.

-ერთაოზი.

-რომელი ერთაოზი?

-ბრეგვაძე.

-რომელი ბრეგვაძის?

-მიზანას შვილი.

-რავაა მამაშენი?

-არა უშავს.

-კიდო სვამს?

-აბა, რა!

-რავარი პირობებია იქით?-იკითხეს პატიკოს წყაროდან.

-გადასარევი.

-

-ახლაც არ დაიჭერებთ, ი ქვეყანა რო არი!-მიუბრუნდა დათიკია მღვდელი მრევ ლს. საბრალოს სალამი დასუსტებოდა, ისე გაფულუროებულ-დასუსტებულიყო, რომ ჩრდილი დაკარგვოდა.

-ქრიშობელი!-დაიძახადაიძახა ერთაოზმა.

ჭურში ჩადგმულ კიბეს ქრიშობელა რობაქიძე ამოყვა სარეცხელით და ჭრაქით ხელში..

-გიმღერო?-კითხა ერთაოზმა.

-ეს უპატრონო, ცარიელიც რო გათრობს!-ქრიშობელა ჭურში ჩაბრუნდა. ცაში ერთაოზის სიმღერა გაისმა.

1) თამუგია “ ნელ-ნელა მოშორდა ძუყნურს და შორეული მთებისკენ აიღო გეზ ი. მზე კი სულ ზევით და ზევით ადიოდა.

გადაუფრინეს ხუხულებს, ბაღნარებს, ძველსა და ახალ მკვდრებს, დაბლებს, მაღ ლებს, წმინდანებს, ყომარბაზებს, თამარ მეფის საფლავს, ფეხმძიმე გიმნაზისტკას, მცხ ეთას, ალავერდს, ჩიქოვანების საძვალეს, ხატის მიწებს, ნასახლარს, გატეხილ ციხეებს, მიტოვებულ საყდრებს, ლელვნარს, თათრის შარას, ნაფურნევსბ დათვის ტანსაბანს, ბოგვერაძეებს, ციციშვილებს, ღულაძეებს, ტიკარაძეებს, დადიანებს, გურიელის საკურ დღლეს, შველის ნაწოლს, დათიას თელას, ონს, ხონს, ობოლ მსხალს, კავთისხევს, ფაქ იზაანთ უბანს, ურიის ბორანს, ვასილას ნალიებს...

გადაუფრინეს მღვდლის ვენახს, ქლიავბარდებს, ანდროებს, პატარა მაღაროს, ტ ატიას ქოხს, ფაციას კაკალს, ერთი სიტყვით, რასაც ჩვენ საქართველოს ვუწოდებთ...

-შემდეგ, როდესაც ყველაფერი მოიფრინეს, ზევით და ზევით იწყეს ასვლა, უცნა ური რამ შენიშნამჩნიეს: მაღლები და დაბლები, თაგვისარა და ჭადარი ერთი სიმაღლ ისა გახდნენ. ლამაზი, სულელი, ჭკვიანი, მდიდარი, ღარიბი-ვინ გაარჩევდა აქედან რამ ეს.

შემდეგ ზღვა, მთა, მდინარე, ვაკე-ყველაფერი ერთ მრგვალ ლურჯ ბურთად გად აიქცა. ეს ბურთიც რომ დაპატარავდ და სილურჯე დაეკარგა, ერთ პატარა, უმნიშვნე ლო ბრჭყვიალა თვლად იქცა, უფრო ლამაზ და უფრო ბრჭყვიალა თვლებს შორის.

ამასობაში, ოთხი თუ ხუთი წელი გავიდა.

მოიწყინა ქრისტეფორემ, მაღლიხულია სენი დაემართა, მელანქოლიის მსგავსი. ე რთაოზს მაღარიამ გაუხსენა. იწვა საწყალი ქვაბთან, კანკალებდა და ენთროპიის ზრდ ის კანონებზე ფიქრობდა კასპის ჭილოფში გახვეული.

-ეხ...-ამოიოხრა ქრისტეფორემ.

„რა მოუვიდა, ნეტავიო“, -გაიფიქრა ერთაოზმა.

მაღარიამ რომ გაუარა, ჰერიკი დალონებულ ბერიკაცს:

-რა მოგივიდა, ბაბუა, რამ დაგაღონა?

-რა სუფთა იყო ცა, უჩვენოთ, რა სპეტაკი...-მწარედ ჩაილაპარაკა მოხუცმა და დაღუმდა.

კიდევ ერთმა წელმა განვლო.

-სად ვართ, ერთაოზ?-იკითხა ქრისტეფორები.

-გავედით გაღმა,,,-უპასუხა ერთაოზმა.

-სად გაღმა?

-მარილზე.

-მარილზე?-ვერ გაიგო მოხუცმა.

-ჩავბარდით პატრონს.

-რომელს?

-მთავარს.

-ააა,-ნაღვლიანად თქვა ქრისტეფორები,-ვთ გაყოფილი ვე-ზე უდრის უდრის ნოლს.

-თკი უდრის კონსტანტს,-ჩუმავდ თქვა ერთაოზმა და თვალები აუცრემლდა. ისევ გამოჩნდა მათ თავზე ლურჯი, უძირო, სულისწამლები ცა-მამაზეციერის წამიერი საჩუქარი და ყველაფერი და ყველაფერი გაქრა.

გაიხსნა სულ სხვა რამ: სიხარული, სიტყბო, სილამაზე, მუდმივი გაზაფხული, სინათლე, ბედნიერება...

დიდება შენ, ღმერთო!